ევროკავშირი საქართველოსთვის

# ლენტეხის ადგილობრივი განვითარების სტრატეგია

# 2024-2028 წლებისთვის

ლენტეხის ადგილობრივი სამოქმედო ჯგუფი

The Hague Academy for local governance

IRC Innovations and reforms Center

SGRC

## დათქმა

ლენტეხის ადგილობრივი განვითარების სტრატეგია 2024-2028 წლებისთვის შექმნილია ევროკავშირის მხარდაჭერით. მის შინაარსზე სრულად პასუხისმგებელია ინოვაციებისა და რეფორმების ცენტრი (IRC), რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის თვითმმართველობის რესურს ცენტრთან (SGRC) ერთად, და შესაძლოა, რომ იგი არ გამოხატავდეს ევროკავშირის შეხედულებებს.

# სარჩევი


**ცხრილები და დიაგრამები ..... 6**

**ცხრილები ..... 6**
**დიაგრამები ..... 7**

**სტრატეგიაში გამოყენებული აკრონიმები და აბრევიატურები ..... 7**

**შეჯამება ..... 9**

**ნაწილი 1 – LEADER მიდგომა და ლენტეხის ადგილობრივი სამოქმედო ჯგუფი (LAG) ..... 13**

**მოკლედ LEADER მიდგომის შესახებ ..... 13**
**ლენტეხის ადგილობრივი სამოქმედო ჯგუფი ..... 14**
ლენტეხის LAG-ის შემადგენლობა ..... 15
ლენტეხის LAG-ის მმართველობა და მართვა ..... 16
**ორგანიზაციული დეტალები ..... 18**

**ნაწილი 2: ლენტეხის მუნიციპალიტეტის პროფილი ..... 19**

**2.1. სამოქმედო ტერიტორიის ზოგადი მიმოხილვა ..... 19**
**2.2. ლენტეხის მუნიციპალიტეტის სოციო-ეკონომიკური პროფილი ..... 20**
2.2.1. გეოგრაფია და ხელმისაწვდომობა ..... 20
2.2.2. დემოგრაფია ..... 21
2.2.3. სოციალური მდგომარეობა ..... 23
2.2.4. განათლება ..... 24
2.2.5. სამუშაო ძალა და დასაქმება ..... 25
2.2.6. საკვანძო სერვისები ..... 26
2.2.7. წარმოება და ბიზნესი ..... 28
2.2.8. ბუნებრივი რესურსები ..... 29
2.2.9. კულტურა და სპორტი ..... 30

**2.3. ტერიტორიის საჭიროებების ანალიზი - ძირითადი საკითხები.....30**

**ნაწილი 3: მონაწილეობითი დაგეგმვა .....34**

**3.1. დაინტერესებულ მხარეთა მონაწილეობა.....34**
**3.3. ადგილობრივი განვითარების სტრატეგიის (LDS) შეთანხმებული პრიორიტეტები .....37**

**ნაწილი 4: ლენტეხის ადგილობრივი განვითარების სტრატეგიის (LDS) სამოქმედო გეგმა.....39**

**4.1. ხედვა .....39**
**4.2. სტრატეგიული მიდგომა .....40**
**ტურიზმის სექტორის განვითარება .....42**
შესავალი .....42
ტურიზმის სექტორი რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის მხარეში.....45
ტურიზმი ლენტეხის მუნიციპალიტეტში .....46
ლენტეხის მუნიციპალიტეტის ტურიზმის სექტორის - SWOT ანალიზი .....50
ტურიზმის სექტორის განვითარებისთვის განსაზღვრული მიზანი და ამოცანები .....52
**სოფლის მეურნეობის განვითარება.....53**
სოფლის მეურნეობა რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის მხარეში.....53
სოფლის მეურნეობა ლენტეხის მუნიციპალიტეტში .....55
ლენტეხის მუნიციპალიტეტში სოფლის მეურნეობის SWOT ანალიზი .....59
სოფლის მეურნეობის სექტორის განვითარებისთვის განსაზღვრული მიზანი და ამოცანები ..62
**მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარება.....63**
მცირე და საშუალო ბიზნესი ლენტეხის მუნიციპალიტეტში.....63
ლენტეხის მუნიციპალიტეტში მცირე და საშუალო ბიზნესის SWOT ანალიზი .....67
მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებისთვის განსაზღვრული მიზანი და ამოცანები .....70
**სპორტი, კულტურა, განათლება და ახალგაზრდობა .....71**
ლენტეხის მუნიციპალიტეტის მიმოხილვა .....71
სპორტი, კულტურა განათლება და ახალგაზრდობა - SWOT ანალიზი .....75
სპორტის, კულტურის, განათლებისა და ახალგაზრდობის მხარდაჭერისთვის განსაზღვრული მიზანი და ამოცანები.....79

**ნაწილი 5: სტრატეგიული ინტეგრაცია.....80**

ნაწილი 6: მონიტორინგი, შეფასება და ანგარიშგება.....82

I დონის შეფასება - სტრატეგიით განსაზღვრული ხედვა .....83
II დონის შეფასება - სტრატეგიული მიმართულებები .....87
III დონის შეფასება - სტრატეგიული მიმართულებები .....92
IV დონის შეფასება - სტრატეგიული მიმართულებები .....92
მონიტორინგზე, შეფასებასა და ანგარიშგებაზე პასუხისმგებელი ერთეულები.....92

# ცხრილები და დიაგრამები

## ცხრილები


ცხრილი #1 სტრატეგიის სამოქმედო გეგმის შეჯამება

ცხრილი #2 ლენტეხის LAG-ის წევრთა გადანაწილება სექტორებს შორის

ცხრილი #3 ორგანიზაციული დეტალები

ცხრილი #4 ლენტეხის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ასაკობრივი პროფილი

ცხრილი #5 შინამეურნეობის ფინანსური მდგომარეობა

ცხრილი #6 კვლევის შედეგად გამოკვეთილი დასაქმების სურათი

ცხრილი #7 გამოკითხვის შედეგად შინამეურნეობების საშუალო ყოველთვიური შემოსავლის განაწილება

ცხრილი #8 ეროვნულ დონეზე საერთაშორისო ვიზიტორთა ძირითადი სტატისტიკური მაჩვენებლების შეჯამება 2023 წლისთვის

ცხრილი #9 ეროვნულ დონეზე ადგილობრივ ვიზიტორთა ძირითადი სტატისტიკური მაჩვენებლების შეჯამება 2023 წლისთვის

ცხრილი #10 რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის მხარეში ტურიზმის სექტორის ზოგადი მაჩვენებლები

ცხრილი #11 ლენტეხის მუნიციპალიტეტის ტურიზმის სექტორის ძირითადი სტატისტიკური მაჩვენებლები

ცხრილი #12 რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის სოფლის მეურნეობის ძირითადი სტატისტიკური მონაცემები

ცხრილი #13 ლენტეხის მუნიციპალიტეტის სოფლის მეურნეობის ძირითადი სტატისტიკური მაჩვენებლები (2014 წლის საყოველთაო აღწერის მონაცემებსა და 2020 წლის პრიორიტეტების დოკუმენტზე დაყრდნობით)

ცხრილი #14 ლენტეხის მუნიციპალიტეტში ორგანული წარმოებისთვის საინტერესო მიმართულებები

ცხრილი #15 ლენტეხის მუნიციპალიტეტში მცირე და საშუალო ბიზნესის ძირითადი მაჩვენებლები

ცხრილი #16 I დონის შეფასების ძირითადი მაჩვენებლები, წყარო და სამიზნეები

ცხრილი #17 II დონის შეფასების ძირითადი მაჩვენებლები, წყარო და სამიზნეები

ცხრილი #18 მონიტორინგზე, შეფასებასა და ანგარიშგებაზე პასუხისმგებელი ერთეულები და პერიოდულობა

## დიაგრამები

დიაგრამა #1 LEADER მიდგომის 7 ძირითადი მახასიათებელი

დიაგრამა #2 კვლევით გამოვლენილი საგრანტო კონკურსებში მონაწილეობის არ-მიღების მიზეზები

დიაგრამა #3 მონიტორინგისა და შეფასების სტრუქტურა

## სტრატეგიაში გამოყენებული აკრონიმები და აბრევიატურები

| | |
|---|---|
| ENPARD | სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების ევროპის სამეზობლო პროგრამა |

| | |
|---|---|
| LAG | ადგილობრივი სამოქმედო ჯგუფი |
| LDS | ადგილობრივი განვითარების სტრატეგია |
| LEADER | სოფლის ეკონომიკის განვითარების ღონისძიებებს შორის კავშირი |
| CLLD | თემზე დაფუძნებული ადგილობრივი განვითარება |
| DMO | დანიშნულების მართვის ორგანიზაცია - Destination Management Organisation |

# შეჯამება

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს ლენტეხის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი განვითარების სტრატეგიას (LDS) 2024-2028 წლებისთვის, რომელიც მოამზადა ლენტეხის ადგილობრივმა სამოქმედო ჯგუფმა (LAG) ევროკავშირის LEADER/CLLD მიდგომის გამოყენებით. დოკუმენტი მომზადდა სამოქალაქო საზოგადოების, სამეწარმეო და საჯარო სექტორების თანამშრომლობისა და მოსახლეობის ჩართულობით. ადგილობრივი განვითარების სტრატეგია წარმოადგენს იმ ძირითად სახელმძღვანელო დოკუმენტს, რომელსაც უნდა დაეფუძნოს ლენტეხის ადგილობრივი სამოქმედო ჯგუფის საქმიანობა.

ადგილობრივი განვითარების სტრატეგია მომზადდა პროექტის **„მთიანი საქართველოს ახალი სიცოცხლე“** მხარდაჭერით, რომელიც ხორციელდება რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის მხარეში, ევროკავშირის დაფინანსებით ENPARD 4 პროგრამის ფარგლებში.

2024-2028 წლებში ლენტეხის ადგილობრივი სამოქმედო ჯგუფი, პარტნიორებთან ერთად ვიმუშავებთ იმისთვის, რომ მოვახდინოთ ადგილობრივი დაინტერესებული მხარეების მუნიციპალიტეტის ხედვის ხორცშესხმა, რაც მოიაზრებს:

- ✓ **თემს, სადაც ცხოვრების დონე მუდმივად იზრდება**
- ✓ **ადგილს, სადაც მრავალფეროვანი მდგრადი სამეწარმეო საქმიანობა უწყვეტად ვითარდება და ადგილზე ღირსეული დასაქმების შესაძლებლობები იქმნება**
- ✓ **გარემოს, სადაც საზოგადოების ყველა წევრს, განსაკუთრებით ახალგაზრდებს, უხარიათ ცხოვრება, აქვთ წვდომა მრავალფეროვან სერვისებზე, კულტურულ, საგანმანათლებლო და სპორტულ სივრცეებსა და ღონისძიებებზე, და შეუძლიათ საკუთარი უნარებისა და შესაძლებლობების რეალიზება**

ამ ხედვის რეალიზების პროცესში და ჩვენი საქმიანობის განხორციელებისას ვიზიარებთ შემდეგ ღირებულებებს:

### ყველაფერი პირადულია

ყველა ვინც ამ ხედვის რეალიზებაში ვმონაწილეობთ უშუალოდ ვართ ჩართულნი ჩვენი თემის ცხოვრებაში, რაც ამყარებს კავშირებს თემის წევრებს შორის. ჩვენ მიზანმიმართულად ვდებთ ენერგიასა და ძალისხმევას ურთიერთობების შენებაში ისევე, როგორც თემის განვითარების სხვა მნიშვნელოვან ასპექტებში

### არასდროს ვწყვეტთ ძალისხმევას

ჩვენ აქ გრძელვადიანად ვართ, მაშინაც კი, როდესაც ყველაფერი მარტივად არ მიდის. ჩვენ არ ვიწყებთ პროგრამებს იმისთვის, რომ ისინი შუა გზაზე მივატოვოთ, არამედ ვმოქმედებთ ხედვის რეალიზებამდე

### ვაშენებთ ხიდებს და არა ჯარს

ყველაფერი რასაც ვაკეთებთ ეფუძნება მონაწილეობის, მრავალფეროვნებისა და სამართლიანობის პრინციპებს.

ყოველივე ამის გათვალისწინებით 2024-2028 წლებისთვის განვსაზღვრეთ პრიორიტეტული თემატური მიმართულებები, დავისახეთ ამოცანები და შევჯერდით ღონისძიებებზე, რომლებიც დაგვეხმარება ლენტეხის მუნიციპალიტეტისთვის ერთობლივი მუშაობით დახატული მომავლის ხედვის რეალიზებაში.

## ცხრილი #1 - სტრატეგიის სამოქმედო გეგმის შეჯამება

| სტრატეგიული მიმართულება | მიმართულების მიზანი | ამოცანები |
|---|---|---|
| ტურიზმი | ტურიზმის სექტორის წილის გაზრდა ლენტეხის მუნიციპალიტეტის ეკონომიკაში | ამოცანა 1: ლენტეხის მუნიციპალიტეტის, როგორც ტურისტული დანიშნულების ადგილის ცნობადობის გაზრდა და პოპულარიზაცია |
| | | ამოცანა 2: მრავალფეროვანი ტურისტული პროდუქტების განვითარება |
| | | ამოცანა 3: ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარების ხელშეწყობა |
| | | ამოცანა 4: ტურიზმის სექტორში მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების ხელშეწყობა |
| სოფლის მეურნეობა | სოფლის მეურნეობის სარგებლიანობის გაზრდა | ამოცანა 1: ლენტეხის მუნიციპალიტეტის, როგორც ნატურალური და ბიოლოგიურად სუფთა სოფლის მეურნეობის პროდუქტების მწარმოებელი ადგილის ცნობადობის გაზრდა |
| | | ამოცანა 2: სოფლის მეურნეობის მიმართულებით მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების მხარდაჭერა |
| მცირე და საშუალო ბიზნესი | მცირე და საშუალო მეწარმეობის დივერსიფიცირება და განვითარება | ამოცანა 1: ადგილობრივ მოსახლეობაში მეწარმეობის შესახებ ცნობიერებისა და უნარების ამაღლება |
| | | ამოცანა 2: მცირე და საშუალო ბიზნესის დივერსიფიკაციის ხელშეწყობა |
| სპორტი, კულტურა, | მუნიციპალიტეტში მრავალფეროვანი სპორტული, | ამოცანა 1: ლენტეხის მუნიციპალიტეტში სპორტის მრავალფეროვანი სახეობების ხელმისაწვდომობის ხელშეწყობა |

| | | |
|---|---|---|
| განათლება და ახალგაზრდობა | კულტურული, საგანმანათლებლო და ახალგაზრდული შესაძლებლობების შექმნა | ამოცანა 2: კულტურული ცხოვრების გამრავალფეროვნებისა და პოპულარიზაციის მხარდაჭერა |
| | | ამოცანა 3: ახალგაზრდებისთვის საინტერესო კულტურული ცხოვრების განვითარება |
| | | ამოცანა 4: მუნიციპალიტეტში სკოლის მიღმა უნარებისა და ცოდნის შეძენის შესაძლებლობების განვითარების ხელშეწყობა |
| | | ამოცანა 5: ახალგაზრდებთან დაკავშირებულ გადაწყვეტილებებში ახალგაზრდების ჩართულობის გაზრდა |
| | | ამოცანა 6: ახალგაზრდებში მეწარმეობის სულისკვეთებისა და უნარების განვითარება, და პროფესიის არჩევანთან/უმაღლეს განათლებასთან დაკავშირებული სტერეოტიპების შეცვლის ხელშეწყობა |

# ნაწილი 1 – LEADER მიდგომა და ლენტეხის ადგილობრივი სამოქმედო ჯგუფი (LAG)

## მოკლედ LEADER მიდგომის შესახებ

LEADER (სოფლის ეკონომიკის განვითარების ღონისძიებებს შორის კავშირი) წარმოადგენს ევროპულ პროგრამას, რომლის მიზანია სოფლის ტიპის დასახლებებში ადგილობრივი აქტორების ჩართვა საკუთარი რეგიონების განვითარებაში. ეს პროგრამა უკვე თითქმის 30 წელია რაც არსებობს და წარმატებით ხორციელდება სხვადასხვა ქვეყანაში. ამ მიდგომის რეალიზაციისთვის იქმნება ადგილობრივი სამოქმედო ჯგუფები (LAG), რომლებიც შეიმუშავებენ და ახორციელებენ ადგილობრივი განვითარების სტრატეგიებს[1].

*დიაგრამა #1: LEADER მიდგომის 7 ძირითადი მახასიათებელი*

[1] ევროპის LEADER ასოციაცია ადგილობრივი განვითარებისთვის (ELARD). ხელმისაწვდომია: http://elard.eu/organization/

სტრატეგიის შემუშავების მომენტისთვის საქართველოში უკვე დაფუძნებულია 22 LAG. რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონში დაფუძნებულია 4 LAG - ლენტეხის, ცაგერის, ამბროლაურისა და ონის მუნიციპალიტეტებში, რომლებიც ფარავენ შესაბამისი მუნიციპალიტეტების ტერიტორიებს სრულად.

## ლენტეხის ადგილობრივი სამოქმედო ჯგუფი

ლენტეხის ადგილობრივი საქმოდმედო ჯგუფი დაფუძნდა 2024 წლის 5 თებერვალს როგორც წევრობაზე დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი. ლენტეხის LAG შექმნილია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისად და საქმიანობას ახორციელებს საქართველოს კონსტიტუციის, კანონმდებლობისა და მისი წესდების მიხედვით. ლენტეხის LAG-ის მიზანია:

*„ლენტეხის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესება“.*

მიზნის მისაღწევად LAG-ს განსაზღვრული აქვს ამოცანები, რომლებიც მოიცავს:

- ადგილობრივი მოსახლეობის მონაწილეობითი კულტურის გაძლიერება, მათი შესაძლებლობებისა და პროფესიული უნარების გაუმჯობესება სოფლის განვითარების სხვადასხვა, პრიორიტეტულ სფეროებში;
- სოფელში, მუნიციპალიტეტში დასაქმებისა და შემოსავლის მომტანი შესაძლებლობების შექმნის ხელშეწყობა;
- საზოგადოებრივ ცხოვრებაში ადგილობრივი ახალგაზრდების როლისა და ჩართულობის გაძლიერება; ახალგაზრდული ინიციატივების წახალისება-მხარდაჭერა;
- ადგილობრივი მოსახლეობის როლის გაზრდა სოფლის განვითარებაში;
- სამოქალაქო, სამეწარმეო და საჯარო სექტორებს შორის თანამშრომლობის მხარდაჭერა სოფლის განვითარებისთვის;
- მეწარმეობის, ორგანული სოფლის მეურნეობის, ეკოტურიზმის და მუნიციპალიტეტისთვის სხვა აქტუალური მიმართულებების სტიმულირება;
- სურსათის უვნებლობის, გარემოს დაცვის, კლიმატის ცვლილებისა და სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე დისკუსიის ხელშეწყობა და ცნობიერების ამაღლება;
- ადგილობრივი ეკონომიკის განვითარებისა და ეკონომიკური შესაძლებლობების დივერსიფიკაციის ხელშეწყობა;
- ადგილობრივი ინფრასტრუქტურის განვითარების ხელშეწყობა;
- ადგილობრივი მოსახლეობისთვის სერვისების ხარისხის გაუმჯობესებისა და ხელმისაწვდომობის გაზრდის ხელშეწყობა, ციფრული სერვისების გაუმჯობესება-დანერგვის მხარდაჭერა;
- ციფრული ტექნოლოგიების დანერგვის ხელშეწყობა სოფლის განვითარების სხვადასხვა, პრიორიტეტულ სფეროებში;
- სოფლის, მუნიციპალიტეტის, რეგიონის და მისი საინვესტიციო მიმზიდველობის პოპულარიზაციის ხელშეწყობა.

ამოცანების მისაღწევად ლენტეხის LAG-ს შეუძლია შემდეგი საქმიანობის განხორციელება:

- ✓ საინფორმაციო-საგანმანათლებლო და კვლევითი საქმიანობა
- ✓ საჯარო, სამეწარმეო და სამოქალაქო სექტორის თანამშრომლობის ხელშეწყობა
- ✓ დაინტერესებულ მხარეებთან, პროფესიულ ჯგუფებთან, პოტენციურ პარტნიორებთან, სხვა ადგილობრივ სამოქმედო ჯგუფებთან კავშირების დამყარება - ცოდნისა და გამოცდილების გაზიარების, ერთობლივი ინიციატივებისა და ღონისძიებების განხორციელებისთვის
- ✓ სოფლის, მუნიციპალიტეტის განვითარებისთვის ინოვაციური მიდგომების წახალისება-მხარდაჭერა
- ✓ ადგილობრივი განვითარების სტრატეგიის განხორციელებისთვის ფინანსური რესურსების მოძიება-მოზიდვა და პროექტების განხორციელება
- ✓ ადგილობრივი განვითარების სტრატეგიის განხორციელებისთვის ადგილობრივი ინიციატივების მხარდაჭერა - საგრანტო კონკურსის ჩატარება, პროექტის შერჩევა, გრანტების გაცემა და პროექტის განხორციელების მონიტორინგი და შეფასება
- ✓ დონორ ორგანიზაციებთან კავშირების დამყარება და მათი ინფორმირება წარმატებული პროექტებისა და ახალი ინიციატივების შესახებ

ლენტეხის LAG-ს, ასევე, შეუძლია კანონით აუკრძალავი ნებისმიერი სხვა საქმიანობის განხორციელება, მათ შორის დამხმარე ხასიათის სამეწარმეო საქმიანობა, რაც დაკავშირებულია მისი მიზნებისა და ამოცანების შესრულებასთან.

## ლენტეხის LAG-ის შემადგენლობა

ლენტეხის LAG დაფუძნებულია სამოქალაქო, სამეწარმეო და საჯარო სექტორის წარმომადგენლების მიერ ერთობლივად და მისი შემადგენლობა უზრუნველყოფს სამივე სექტორის ინტერესების თანაბრად დაცვას. ორგანიზაციის წესდების თანახმად, LAG-ის წევრთა რაოდენობა საჯარო სექტორიდან არ შეიძლება აღემატებოდეს ორგანიზაციის წევრთა საერთო რაოდენობის 49%.

*ცხრილი #2: ლენტეხის LAG-ის წევრთა გადანაწილება სექტორებს შორის*

| სექტორი | წევრთა რაოდენობა | | სამოქალაქო და სამეწარმეო სექტორი ერთად |
|---|---|---|---|
| | **რაოდენობა** | **%** | |
| საჯარო სექტორი | 10 | 43.5% | **56.5%** |
| სამოქალაქო სექტორი | 9 | 39.1% | |
| სამეწარმეო სექტორი | 4 | 17.4% | |
| **სულ** | **23** | **100%** | |

## ლენტეხის LAG-ის მმართველობა და მართვა

### *LAG-ის საერთო კრება*

ლენტეხის ადგილობრივი სამოქმედო ჯგუფის უმაღლესი მმართველობითი ორგანოა საერთო კრება, რომელიც შედგება მისი ყველა წევრისგან. შესაბამისად, სტრატეგიის შემუშავების მომენტისთვის საერთო კრების შემადგენლობა განსაზღვრულია 23 წევრით.

გეგმიური საერთო კრება ტარდება წელიწადში ერთხელ, თუმცა საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია კრების რიგგარეშე მოწვევა. საერთო კრება გადაწყვეტილებას იღებს ადგილობრივი სამოქმედო ჯგუფის სტრატეგიულ საკითხებზე და ასევე ისმენს ორგანიზაციის საქმიანობის შესახებ ანგარიშებს.

საერთო კრება უფლებამოსილია, თუ სხდომას ესწრება წევრთა ნახევარზე მეტი და გადაწყვეტილების მიღება ხდება ღია კენჭისყრით, დამსწრე წევრთა უმრავლესობით. მიღებულ გადაწყვეტილებაში ხმათა სულ მცირე 50% უნდა ეკუთვნოდეს არასაჯარო სექტორის წარმომადგენელ-წევრებს. წესდებით დამატებითი პირობებია განსაზღვრული წესდებაში ცვლილებების შეტანის, ორგანიზაციის რეორგანიზაციის, შერწყმა-გაყოფისა და ლიკვიდაციის შემთხვევაში.

საერთო კრების გადაწყვეტილებების აღსრულებაზე პასუხისმგებელია ორგანიზაციის მმართველი საბჭო, რომელიც LAG-ის მმართველ ორგანოს წარმოადგენს. მმართველ საბჭოს ერთი წლის ვადით, ფარული კენჭისყრის გზით ირჩევს საერთო კრება.

## *მმართველი საბჭო*

მმართველი საბჭო პასუხისმგებელია საერთო კრების გადაწყვეტილებების აღსრულებაზე, განსაზღვრავს ორგანიზაციის სტრატეგიას და საქმიანობის ძირითად მიმართულებებს, ანგარიშვალდებული და პასუხისმგებელია საერთო კრების წინაშე.

ლენტეხის LAG-ის მმართველი საბჭო შედგება საერთო კრების მიერ არჩეული 9 წევრისგან. მმართველი საბჭოში სამოქალაქო, სამეწარმეო და საჯარო სექტორები წარმოდგენილი არიან თანაბარი რაოდენობით - თითოეული სექტორი 3 წარმომადგენლით.

მმართველი საბჭოს სხდომები იმართება ყოველთვიურად და მის სხდომებს უძღვება მმართველი საბჭოს თავმჯდომარე, ხოლო მისი არყოფნის პირობებში მმართველი საბჭოს უხუცესი წევრი.

მმართველი საბჭო უფლებამოსილია, თუ სხდომას ესწრება წევრთა ნახევარზე მეტი და მის მიერ გადაწყვეტილება მიიღება ღია კენჭისყრით, დამსწრე წევრთა უმრავლესობით. მიღებულ გადაწყვეტილებაში ხმათა სულ მცირე 50% უნდა ეკუთვნოდეს არასაჯარო სექტორის წარმომადგენელ-წევრებს.

მმართველი საბჭო ირჩევს მმართველი საბჭოს თავმდჯომარეს მმართველი საბჭოს წევრთაგან და ზედამხედველობას უწევს მის საქმიანობას, ამტკიცებს ორგანიზაციის სტრუქტურასა და ბიუჯეტს, ამტკიცებს ორგანიზაციის საქმიანობის სტრატეგიულ მიმართულებებსა და განვითარების გეგმას, პასუხისმგებელია წესდებაში შესატანი ცვლილებების/ახალი წესდების შემუშავება-საერთო კრებისთვის წარდგენაზე; შეიმუშავებს და ამტკიცებს ადგილობრივი განვითარების სტრატეგიასა და სამოქმედო გეგმას; ქმნის სამუშაო ჯგუფებს, კომიტეტებს, კომისიებს კონკრეტული ამოცანის შესასრულებლად. შეიმუშავებს და ამტკიცებს მათ სახელმძღვანელო წესებს, შემადგენლობასა და პასუხისმგებლობებს, ამტკიცებს ორგანიზაციის ლოგოსა და სიმბოლიკას, წყვეტს

ორგანიზაციის სხვა გაერთიანებებში წევრობისა და იურიდიული პირის დაფუძნებაში მონაწილეობის საკითხს.

## ორგანიზაციული დეტალები

*ცხრილი #3 - ორგანიზაციული დეტალები*

| | |
|---|---|
| ორგანიზაციის სახელწოდება | ლენტეხის ადგილობრივი სამოქმედო ჯგუფი Lentekhi Local Action Group |
| სამართლებრივი ფორმა | არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი |
| მისამართი | ლენტეხის მუნიციპალიტეტი, სოფელი რცხმელური, 1-ლი ქუჩა, N23 |
| ტელეფონის ნომერი | +995 599 25 88 72 |
| ელ. ფოსტა | info@lentekhilag.ge |
| ვებ გვერდი | www.lentekhilag.ge |
| საკონტაქტო პირი | ლუიზა ტვილდიანი, მმართველი საბჭოს თავმჯდომარე |

# ნაწილი 2: ლენტეხის მუნიციპალიტეტის პროფილი

## 2.1. სამოქმედო ტერიტორიის ზოგადი მიმოხილვა

ლენტეხის ადგილობრივი სამოქმედო ჯგუფის არეალი მოიცავს ლენტეხის მთლიან მუნიციპალიტეტს, რომელიც მდებარეობს საქართველოს ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის მხარეში. ლენტეხის მუნიციპალიტეტი მოიცავს დაბა ლენტეხს, რომელიც იმავდროულად წარმოადგენს ადმინისტრაციულ ცენტრს, და 7 თემში შემავალ 60 სოფელს.

ლენტეხის მუნიციპალიტეტის საერთო ფართობი შეადგენს 1 344 კმ$^2$ და მას დასავლეთით ესაზღვრება მარტვილის მუნიციპალიტეტი, ჩრდილოეთით - მესტიის მუნიციპალიტეტი, აღმოსავლეთით - ონის მუნიციპალიტეტი და სამხრეთით ცაგერისა და ამბროლაურის მუნიციპალიტეტები.

ლენტეხის მუნიციპალიტეტი განლაგებულია ზღვის დონიდან საშუალოდ 760 მ. სიმაღლეზე და მის ადმინისტრაციულ საზღვრებში შემავალი ყველა დასახლება სარგებლობს მაღალმთიანი დასახლების სტატუსით.[2] წლის განმავლობაში ლენტეხის მუნიციპალიტეტში იანვრის თვის საშუალო ტემპერატურა შეადგენს -1.8 C$^0$, ხოლო ივლისის თვეში - საშუალოდ +20.1 C$^0$.

ლენტეხის მუნიციპალიტეტის მთავარი მდინარეა ცხენისწყალი და მისი შენაკადები - ხელედულა, ლასკადურა, ზესხო, ლეუშერი, ხოფური და სხვა. მდინარეები ძირითადად წვიმის, ნადნობი თოვლისა და მიწისქვეშა წყლებით საზრდოობენ, თუმცა ნაწილობრივ წყლის

[2] საქართველოს მთავრობა (2015). *საქართველოს მთავრობის დადგენილება მაღალმთიან დასახლებათა ნუსხის დამტკიცების შესახებ*



მარაგს მყინვარების ნადნობი წყლებითაც ივსებენ.

2024 წლის 1 იანვრის მონაცემებით მუნიციპალიტეტის მთლიანი მოსახლეობის რიცხვოვნობა შეადგენს 3,600 პირს[3], რომელთა უმრავლესობა ცხოვრობს სოფლად (72.2%). მუნიციპალიტეტი საკმაოდ მეჩხერადაა დასახლებული და მოსახლეობის სიმჭიდროვე შეადგენს საშუალოდ 3 ადამიანს 1 კმ$^2$.

## 2.2. ლენტეხის მუნიციპალიტეტის სოციო-ეკონომიკური პროფილი

ლენტეხის მუნიციპალიტეტის სოციო-ეკონომიკური პროფილი წარმოდგენილია შემდეგ საკითხებთან მიმართებით:




### 2.2.1. გეოგრაფია და ხელმისაწვდომობა

ლენტეხის მუნიციპალიტეტი მდებარეობს რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის მხარეში და მისი ადმინისტრაციული ცენტრია დაბა ლენტეხი. მუნიციპალიტეტს ჩრდილოეთით ესაზღვრება მესტიის მუნიციპალიტეტი, აღმოსავლეთით - ონის მუნიციპალიტეტი და სამხრეთით ცაგერისა და ამბროლაურის მუნიციპალიტეტები. მუნიციპალიტეტის რელიეფი ძირითადად მთიანია, სადაც ჭარბობს საშუალო და მაღალმთიანი რელიეფი. დაბა ლენტეხი თბილისიდან 311 კმ.-ით არის დაშორებული.

მუნიციპალიტეტის ტერიტორიის ფართობი წარმოადგენს 1 344 კმ$^2$. ის შედგება დაბა ლენტეხისა და 60 სოფლისგან, რომლებიც გაერთიანებულია 7 თემში. მუნიციპალიტეტის ტერიტორია საქართველოს ტერიტორიის 1.9% შეადგენს, თუმცა მის ტერიტორიაზე საქართველოს მოსახლეობის მხოლოდ 0.1% ცხოვრობს და ერთ-ერთ ყველაზე მეჩხერად დასახლებულ მუნიციპალიტეტს წარმოადგენს საქართველოში.

[3] საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. https://www.geostat.ge/ka/modules/categories/41/mosakhleoba

### გზები

ლენტეხის მუნიციპალიტეტს ემსახურება ერთი შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზა: შ-15 ქუთაისი-წყალტუბო-ცაგერი-ლენტეხი ლასდალი, ლენტეხი ბავარისა და ზესხურას ხიდი - სოფელი ზესხოს მონაკვეთები. რაც შეეხება შიდამუნიციპალურ გზებს, მუნიციპალიტეტის ყველა სოფელთან მიდის გზა, თუმცა მათი ნაწილი საჭიროებს მოწესრიგებას.

### სარკინიგზო ტრანსპორტი

ლენტეხის მუნიციპალიტეტში რკინიგზა არ არის, ისევე როგორც მთლიან რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის მხარეში. უახლოესი რკინიგზის სადგური მდებარეობს წყალტუბოს მუნიციპალიტეტში, რომელიც დაბა ლენტეხიდან დაშორებულია 77 კმ.-ით, ხოლო ქუთაისის რკინიგზის სადგური - 90 კმ.-ით.

### საჰაერო ტრანსპორტი

ლენტეხის მუნიციპალიტეტთან სიახლოვეს ორი აეროპორტია განთავსებული:

(1) ადგილობრივი მნიშვნელობის ამბროლაურის აეროპორტი - რომელიც 70 კმ.-ითაა დაშორებული დაბა ლენტეხიდან, რომელსაც მოცემულ ეტაპზე შეუძლია მაქსიმუმ 50 მგზავრიანი თვითმფრინავების მომსახურება და რომელშიც რეგულარული რეისები ხორციელდება ნატახტარის აეროდრომიდან;

(2) ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტი - რომელიც 101 კმ.-ითაა დაშორებული დაბა ლენტეხიდან.

### საზღვაო პორტი

ლენტეხის მუნიციპალიტეტთან მდებარე უახლოესი საზღვაო პორტია ფოთის პორტი, რომელთანაც მანძილი შეადგენს 154 კმ. ასევე, 220 კმ.-ში განთავსებულია ბათუმის პორტი.

## 2.2.2. დემოგრაფია

2024 წლის 1 იანვრის მონაცემებით ლენტეხის მუნიციპალიტეტის

მოსახლეობა შეადგენს 3 600 პირს[4], რომელთა უმრავლესობა (72.2%) ცხოვრობს სოფლად. აღსანიშნავია, რომ 1990-იანი წლებიდან მუნიციპალიტეტში აღინიშება მოსახლეობის კლების ტენდენცია. უკანასკნელი 20 წლის მანძილზე ლენტეხის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის კლებამ შეადგინა თითქმის 50%, ხოლო უკანასკნელი 10 წლის მანძილზე - 20%. მოსახლეობის რიცხვოვნობის შემცირება ნაწილობრივ განპირობებულია ბუნებრივი კლებით[5], რომელიც შეადგენს 10 წლის მანძილზე შემცირებული მოსახლეობის 24.1%, ხოლო ამავე პერიოდში მოსახლეობის რიცხვოვნობის შემცირების 75.9% განპირობებულია მიგრაციით[6]. მიგრაციის ტენდენციები ძირითადად აღინიშნება ახალგაზრდებში, რომლებიც წარმოადგენენ მოსახლეობის ყველაზე შრომისუნარიან ნაწილს.

2023 წელს, ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის „მთიანი საქართველოს ახალი სიცოცხლე“ (ENPARD 4) ფარგლებში, ლენტეხის მუნიციპალიტეტში გამოკითხული 140 პირიდან 20-მა (გამოკითხულთა 14.3%) მიუთითა, რომ ოჯახის წევრი იმყოფებოდა ემიგრაციაში.

2014 წლის საყოველთაო აღწერის მონაცემებით ლენტეხის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ასაკობრივი შემადგენლობა მნიშვნელოვნად განსხვავდება ქალებსა და კაცებს შორის; ქალების საშუალო ასაკი 50 წელს შეადგენს, ხოლო კაცების - 42 წელს.

---

[4] საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. https://www.geostat.ge/ka/modules/categories/41/mosakhleoba

[5] ბუნებრივი მატება იზომება წლის განმავლობაში ცოცხლად დაბადებულებისა და გარდაცვლილთა რაოდენობებს შორის სხვაობით. უარყოფითი მაჩვენებელი მიუთითებს, რომ წლის განმავლობაში გარდაცვლილთა რიცხვი მეტი იყო ცოცხლად დაბადებულთა რიცხვზე.

[6] საქართელოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. (2022). *ბუნებრივი მატება რეგიონებისა და თვითმმართველი ერთეულების მიხედვით.* ხელმისაწვდომია: https://www.geostat.ge/ka/modules/categories/321/bunebrivi-mateba

*ცხრილი #4: ლენტეხის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ასაკობრივი პროფილი*[7]

| ასაკობრივი ჯგუფი | მოსახლეობის % |
|---|---|
| 0-14 წლამდე | 16% |
| 15-29 წლამდე | 14.5% |
| 30-49 წლამდე | 24.2% |
| 50-64 წლამდე | 22.2% |
| 65- 84 წლამდე | 20.7% |
| 85+ | 2.4% |

აღსანიშნავია, რომ ლენტეხის მუნიციპალიტეტის მოსახლეობაში ჭარბობს 30+ ასაკობრივი ჯგუფი, რაც მთლიანი მოსახლეობის 69.5% შეადგენს.

### 2.2.3. სოციალური მდგომარეობა

2023 წლის მონაცემებით პენსიის მიმღებთა რიცხვი ლენტეხის მუნიციპალიტეტში შეადგენს 1 513 პირს (მოსახლეობის 41.7%)[8]. სოციალური პაკეტის მიმღებთა რიცხვი ლენტეხის მუნიციპალიტეტში შეადგენს 386 პირს, რაც მუნიციპალიტეტის მოსახლეობის საერთო რაოდენობის 10.7% შეადგენს. 2023 წლის ბოლოსთვის საარსებო შემწეობის მიმღები ოჯახების რიცხვი ლენტეხის მუნიციპალიტეტისთვის შეადგენს 357 ოჯახს.

2023 წელს ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის „მთიანი საქართველოს ახალი სიცოცხლე“ (ENPARD 4) ფარგლებში, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის მხარეში ჩატარდა გამოკითხვა, რომელიც წარმომადგენლობითი იყო როგორც რეგიონის, ასევე მუნიციპალურ ჭრილში. გამოკითხვის ფარგლებში ლენტეხის მუნიციპალიტეტში მოცული იყო 140 რესპონდენტი (77.9% სოფლად მცხოვრები და 22.1% დაბა ლენტეხში მცხოვრები მოსახლეობა). შინამეურნეობების ფინანსურ მდგომარეობასთან მიმართებით შემდეგი საერთო სურათი გამოიკვეთა:

[7] საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. (2014). *2014 წლის საყოველთაო აღწერის ძირითადი შედეგები.* ხელმისაწვდომია: https://www.geostat.ge/media/20680/2014-wlis-aRweris-ZiriTadi-Sedegebi.pdf

[8] საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. *პენსიის მიმღებთა რიცხვოვნობა მუნიციპალიტეტების მიხედვით.* ხელმისაწვდომია: https://www.geostat.ge/ka/modules/categories/55/sotsialuri-uzrunvelqofa



*ცხრილი #5: შინამეურნეობის ფინანსური მდგომარეობა*

| თვითშეფასება | რესპონდენტთა წილი |
|---|---|
| დამაკმაყოფილებელი - შეუძლიათ ყოველდღიური ხარჯების გასტუმრება | 29.3% |
| საშუალო - შეუძლიათ ძირითადი ყოველდღიური ხარჯების გასტუმრება | 25% |
| ცუდი - შემოსავალი მხოლოდ საკვებისთვისაა საკმარისი | 44.3% |
| ძალიან ცუდი - არსებული შემოსავლით ოჯახის უზრუნველყოფა არ შეუძლიათ | 1.4% |

## 2.2.4. განათლება

ლენტეხის მუნიციპალიტეტში 15 სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებაა, რომელშიც 2023-2024 სასწავლო წელს ჩართულია 142 აღსაზრდელი[9]. მუნიციპალიტეტში, ასევე, არის 11 ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება, სადაც 2023-2024 სასწავლო წლისთვის ირიცხება 456 მოსწავლე. ლენტეხის მუნიციპალიტეტში არ არის რაიმე ტიპის პროფესიული სასწავლო დაწესებულება, ისევე როგორც უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება.

2014 წლის საყოველთაო აღწერის მონაცემებით, ლენტეხის მუნიციპალიტეტის 10 წელზე მაღალი ასაკის მოსახლეობის 22.6% აქვს მიღებული უმაღლესი განათლება; ამასთანავე, უმაღლესი განათლების მაჩვენებელი დაბა ლენტეხის მოსახლეობაში მიღებული აქვს მოსახლეობის 32.4%, ხოლო სოფლად მცხოვრებ მოსახლეობაში 20%. რაც შეეხება პროფესიულ განათლებას, მოსახლეობის შედარებით დიდ ნაწილს აქვს პროფესიული განათლება. 2023 წელს ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის „მთიანი საქართველოს ახალი სიცოცხლე“ (ENPARD 4) ფარგლებში, ლენტეხის მუნიციპალიტეტში გამოკითხული 140 პირიდან 45.7% მიუთითა, რომ დასრულებული აქვს ან/და ჯერ არ დაუსრულებია უმაღლესი განათლების მიღება, ხოლო 54.3%

[9] საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. (2024). *ადრეული და სკოლამდელი აღზრდა და განათლება.* ხელმისაწვდომია: https://www.geostat.ge/ka/modules/categories/58/adreuli-da-skolamdeli-aghzrda-da-ganatleba

მიუთითა, რომ მიღებული აქვს მხოლოდ სრული საშუალო განათლება და ამ უკანასკნელ რესპონდენტთა უმრავლესობას შეადგენდნენ 36 წელს გადაცილებული პირები.

### 2.2.5. სამუშაო ძალა და დასაქმება

ლენტეხის მუნიციპალიტეტში შრომისუნარიანი მოსახლეობის უმრავლესობა საჯარო სექტორშია დასაქმებული. 2023 წელს ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის „მთიანი საქართველოს ახალი სიცოცხლე“ (ENPARD 4) ფარგლებში, ლენტეხის მუნიციპალიტეტში გამოკითხული 140 პირიდან 48.6% დასაქმებული იყო საჯარო სექტორში. რაც შეეხება ბიზნეს სექტორს, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის 2022 წლის მონაცემებით ბიზნეს სექტორში დასაქმებულთა რიცხვმა შეადგინა 399 პირი, რაც ყველაზე მაღალი მაჩვენებელია 2014 წლის შემდეგ.[10] აქედან, 2022 წელს ბიზნეს სექტორში დაქირავებით დასაქმებული მოსახლეობის რიცხვი შეადგენს 254. პროექტის ფარგლებში ზემოხსენებული გამოკითხვის შედეგად არასაჯარო სექტორში დასაქმებულთა კუთხით შემდეგი სურათი გამოიკვეთა:

*ცხრილი #6: კვლევის შედეგად გამოკვეთილი დასაქმების სურათი*[11]

| დასაქმების ადგილი | რესპონდენტთა % |
|---|---|
| ბიზნეს სექტორი | 3.6% |
| თვითდასაქმებული სასოფლო-სამეურნეო სექტორში | 5.7% |
| სეზონურად დასაქმებული | 1.4% |

გამოკითხვისას, ასევე, გამოიკვეთა, რომ ნებისმიერ დასაქმებულთა უმრავლესობა (91.6%) წარმოადგენს 36 და უფროს ასაკობრივ ჯგუფს.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით 2022 წელს ლენტეხის მუნიციპალიტეტში დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო თვიური ანაზღაურება შეადგენს 625 ლარს, რაც ყველაზე დაბალი მაჩვენებელია 2017 წლის შემდეგ. ზემოხსენებული კვლევის ფარგლებში ანაზღაურება არ ყოფილა კვლევის საგანი, თუმცა, გამოკითხვა ფოკუსირდა შინამეურნეობების საშუალო

[10] საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. (2022). *რეგიონული სტატისტიკა.* ხელმისაწვდომია: https://regions.geostat.ge/regions/

[11] დანარჩენ რესპონდენტებს წარმოადგენდნენ პენსიონერები და სტუდენტები.

ყოველთვიურ შემოსავალზე, რაც შემდეგნაირად გადანაწილდა:

*ცხრილი #7: გამოკითხვის შედეგად შინამეურნეობების საშუალო ყოველთვიური შემოსავლის განაწილება*

| ოდენობა | რესპონდენტთა წილი |
|---|---|
| 300 ლარამდე | 2.9% |
| 300-დან 600 ლარის ჩათვლით | 34.3% |
| 600-დან 1000 ლარის ჩათვლით | 33.5% |
| 1000-დან 1500 ლარის ჩათვლით | 25.7% |
| 1500-დან 2000 ლარის ჩათვლით | 3.6% |

მათი აბსოლუტური უმრავლესობა (100%), ვინც შინამეურნეობის ყოველთვიურ შემოსავალს 1500 ლარზე მეტს მიუთითებდა, წარმოადგენს საჯარო სექტორში დასაქმებულ პირებს.

## 2.2.6. საკვანძო სერვისები

### *ელექტროენერგია*

ლენტეხის მუნიციპალიტეტი 100% არის უზრუნველყოფილი ელექტროენერგიის ქსელით და ელექტროენერგიის მიწოდებას ემსახურება კომპანია ენერგოპრო ჯორჯია.

ლენტეხის მუნიციპალიტეტში დღეის მონაცემებით არ არსებობს ჰესი, თუმცა 2027 წლისთვის იგეგმება მდინარე ცხენისწყალზე ლენტეხი ჰესის აშენება, რომლის მოსალოდნელი წლიური საშუალო გამომუშავება იქნება 668 მლნ. კვტ.სთ., რაც საქართველოს არსებული ენერგოგენერაციის 6% შეადგენს.

### *ბუნებრივი აირით მომარაგება*

ლენტეხის მუნიციპალიტეტში ბუნებრივი აირის მიწოდება საერთოდ არ არის. ამასთანავე, აღსანიშნავია, რომ რაჭა-ლჩხუმისა და ქვემო-სვანეთის მხარე ზოგადად სუსტად არის გაზიფიცირებული და საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის 2022 წლის მონაცემებით რეგიონის შინამეურნეობების მხოლოდ 25.5% უზრუნველყოფილი ბუნებრივი აირით, რაც თითქმის ოთხჯერ ჩამოუვარდება ქვეყნის საშუალო მაჩვენებელს.

## *სასმელი წყლით მომარაგება*

ლენტეხის მუნიციპალიტეტში სასმელი წყლით მომარაგებას უზრუნველყოფს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია. აღსანიშნავია, რომ სასმელი წყლის ქსელი არ არის ხელმისაწვდომი მთლიან მუნიციპალიტეტში, თუმცა ხელმისაწვდომია დაბა ლენტეხისა და სოფლის მოსახლეობის ძირითადი ნაწილისთვის. რაც შეეხება საკანალიზაციო სისტემას, ის მოწყობილია მხოლოდ დაბის ტერიტორიაზე. ამასთანავე, მუნიციპალიტეტში არ არსებობს წყლის კომუნიკაციის სისტემის გამწმენდი ნაგებობა.[12]

## *ნარჩენების მართვა*

ლენტეხის მუნიციპალიტეტს შემუშავებული ჰქონდა 2018-2022 წლების ნარჩენების მართვის გეგმა[13], თუმცა, ახალი გეგმა ჯერ-ჯერობით არ არის შემუშავებული. გეგმაში მოცემული სიტუაციური ანალიზის მიხედვით, მუნიციპალიტეტში 2016-დან 2021 წლამდე წარმოქმნილი ნარჩენების მოცულობა გაორმაგებულია და მოსალოდნელია რომ ზრდის ტენდენცია შენარჩუნდება. მუნიციპალიტეტში წარმოქმნილი ნარჩენები ძირითადად არასახიფათოა და საყოფაცხოვრებო ნარჩენებს (მათ შორის 60% ბიოდეგრადირებად) ან/და არასახიფათო სამეწარმეო საქმიანობიდან წარმოქნილ ნარჩენებს განეკუთვნება. მცირე ოდენობითაა წარმოდგენილი ისეთი სახიფათო ნარჩენები როგორიცაა სამედიცინო, ელექტრონული და სხვა მსგავსი ნარჩენები.

მუნიციპალიტეტის 2023-2025 პრიორიტეტების დოკუმენტის მიხედვით, ნარჩენების შეგროვების კუთხით მდგომარეობა მუნიციპალიტეტში მნიშვნელოვნად გამოსწორებულია ურნების რაოდენობისა და ნაგავმზიდი მანქანების რაოდენობის გაზრდის კუთხით, თუმცა, გამოწვევას წარმოადგენს მუნიციპალიტეტში ნაგავსაყრელის არარსებობა და ნაგვის მეზობელ მუნიციპალიტეტში გატანის საჭიროება.

---

[12] 2023-2026 წლებისთვის ლენტეხის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების დოკუმენტი. ხელმისაწვდომია: www.lentekhi.gov.ge

[13] ლენტეხის მუნიციპალიტეტი. *ლენტეხის მუნიციპალიტეტის 2018-2022 წლების ნარჩენების მართვის გეგმა.* ხელმისაწვდომია: https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/4071404?publication=0

*ინტერნეტი*

საქართველოს მასშტაბით ინტერნეტის დაფარვის ყველაზე დაბალი მაჩვენებელი რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის მხარეშია, რაც 2023 წლის 1 ივლისის მდგომარეობით შეადგენს შინამეურნეობების 74.2% და მნიშნელოვნად ჩამოუვარდება ქვეყნის საშუალო მაჩვენებელს - 89%[14].

ლენტეხის მუნიციპალიტეტში ინტერნეტის სამი პროვაიდერი ფიქსირდება - მაგთი, სილქნეტი და სქაიტელი, თუმცა ინტერნეტის დაფარვა არ ვრცელდება მთელს მუნიციპალიტეტზე და განსაკუთრებით პრობლემურია საზღვრისპირა ტერიტორიები, სადაც ფიჭური კავშირი საერთოდ არ ფუნქციონირებს. მუნიციპალიტეტის ნაწილში წარმოდგენილია როგორც ოპტიკურ-ბოჭკოვანი, ასევე უსადენო (wi-fi) ინტერნეტი.

[14] საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. (2023). *ინტერნეტით უზრუნველყოფილი შინამეურნეობების წილი.* ხელმისაწვდომია: https://www.geostat.ge/ka/modules/categories/106/sainformatsio-da-sakomunikatsio-teknologiebis-gamoqeneba-shinameurneobebshi

## 2.2.7. წარმოება და ბიზნესი

2022 წლის მონაცემებით ლენტეხის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული იყო 328 ეკონომიკურად აქტიური სუბიექტი და მათ მიერ წარმოებული პროდუქციის საერთო ღირებულებამ შეადგინა 25.1 მილიონი ლარი. ამ სუბიექტთა 100%, გარდა სახელმწიფო დაწესებულებების, ააიპ-ებისა და სსიპ-ებისა, წარმოადგენს მცირე ბიზნესს.[15] ამასთანავე, მოქმედი ბიზნეს სუბიექტებიდან 28% წარმოადგენს შპს, 71.7% ინდივიდუალური მეწარმე (ინდ. მეწარმე) და 0.3% (1) კოოპერატივი.

მუნიციპალიტეტში არ არის წარმოდგენილი არცერთი მსხვილი ბიზნესი. მოქმედ ბიზნეს სუბიექტთა საქმიანობის ძირითადი მიმართულებები მოიცავს სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობას, გადამამუშავებელ მრეწველობას, საცალო და საბითუმო ვაჭრობასა და განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფას. სოფლის მეურნეობის მიმართულებით მუნიციპალიტეტში ძირითადად განვითარებულია

[15] სტატისტიკის ეროვნული სამსახური. *რეგიონების სტატისტიკა- ლენტეხის მუნიციპალიტეტი.* ხელმისაწვდომია: http://regions.geostat.ge/regions/racha/lentexi.php?lang=ka

პირველადი წარმოება, ხოლო არასასოფლო სამეურნეო ბიზნესის ჭრილში - საცალო/საბითუმო ვაჭრობა და განთავსების საშუალებით უზრუნველყოფა (საოჯახო ტიპის სასტუმროები).

აღსანიშნავია, რომ ლენტეხის მუნიციპალიტეტის ყველა დასახლებულ პუნქტს მინიჭებული აქვს მაღალმთანი დასახლების სტატუსი, რაც გარკვეულ შეღავათებს აწესებს როგორც ფიზიკური პირებისთვის, ასევე ბიზნეს სუბიექტებისთვის; კონკრეტულად:

- ✓ ფიზიკური პირების წლიური შემოსავალი 6 000 ლარამდე გათავისუფლებულია საშემოსავლო გადასახადისგან;
- ✓ მეწარმეები მოგების გადასახადისგან გათავისუფლებულები არიან 10 წლით;
- ✓ ქულების გადასახადისგან სრულად გათავისფულებულები არიან როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირები.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით, 2014 წლიდან ლენტეხის მუნიციპალიტეტში ფიქსირებულ აქტივებში ინვესტიცია არ განხორციელებულა.

ლენტეხის მუნიციპალიტეტში წარმოდგენილია იუსტიციის სახლი (დაბა ლენტეხში), რომელიც უზრუნველყოფს მრავალფეროვანი სახელმწიფო სერვისების ადგილზე მიწოდებას. მუნიციპალიტეტში არ არის ცალკე ტურიზმის საინფორმაციო ცენტრი, თუმცა მუნიციპალიტეტის მერიის შენობის პირველ სართულზე ფუნქციონირებს მუნიციპალიტეტის ტურიზმის სამსახურის საინფორმაციო კუთხე.

### 2.2.8. ბუნებრივი რესურსები

ლენტეხის მუნიციპალიტეტში აღრიცხულია სხვადასხვა დანიშნულების რამდენიმე მინერალური წყალი. გარდა მინერალური წყლებისა, ლენტეხის მუნიციპალიტეტის მთავარ წიაღისეულს წარმოადგენს დარიშხანი, მარმარილო და კვარციტები.

ლენტეხის მუნიციპალიტეტში არსებული მდინარეებიდან გამომდინარე, მუნიციპალიტეტში ასევე წარმოდგენილია ჰიდრორესურსი. ამასთანავე, იმის გათვალისწინებით, რომ მუნიციპალიტეტის ტერიტორიის 64% უკავია ტყეს, ლენტეხში ასევე მნიშვნელოვნადაა წარმოდგენილი ტყის რესურსი.

### 2.2.9. კულტურა და სპორტი

ლენტეხის მუნიციპალიტეტი საკმაოდ მდიდარია კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებით. მუნიციპალიტეტში წარმოდგენილია არაერთი რელიგიური და ისტორიული მნიშვნელობის უნიკალური ძეგლი - სვანური კოშკები, მათ შორის ლექსურის კოშკები, ეკლესიები სვანური მხატვრობის ნიმუშებით, დადიანის ციხე-დარბაზის კომპლექსი. ლენტეხი ასევე მდიდარია ფოლკლორითა და ტრადიციებით.

ლენტეხის მუნიციპალიტეტში კულტურული ცხოვრება საკმაოდ აქტიურად მიმდინარეობს. მუნიციპალიტეტში კულტურის სფეროს მნიშვნელოვან მიმართულებებს წარმოადგენს ფოლკლორი, რომლის წარმომადგენლებიც აქტიურად მონაწილეობენ სხვადასხვა ტიპის ღონისძიებებში როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე საზღვარგარეთაც.

ლენტეხის მუნიციპალიტეტში მდებარეობს მხარეთმცოდნეობის მუზეუმი, სადაც დაცულია ბრინჯაოს ხანის არქეოლოგიური მასალა, უნიკალური საეკლესიო ხელნაწერები და სვანეთის ყოფის დამახასიათებელი არტეფაქტები.

სპორტის მხრივ, ლენტეხის მუნიციპალიტეტში წარმოდგენილია კომპლექსური სპორტული სკოლა, ალპინიზმისა და სამთო-სამაშველო სკოლა, სპორტული სკოლა „ლაშხეთი“ და საფეხბურთო სკოლა. მუნიციპალიტეტში პოპულარულია ქართული ჭიდაობა, ძიუდო, სამბო, მეკლდეურობა, ფეხბურთი და ფრენბურთი.

## 2.3. ტერიტორიის საჭიროებების ანალიზი - ძირითადი საკითხები

ლენტეხის მუნიციპალიტეტი ძალიან მეჩხერადაა დასახლებული და ეკონომიკური საქმიანობა ძალიან შეზღუდულ მასშტაბებს ატარებს. მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მთავარ გამოწვევას წარმოადგენს მოსახლეობის გადინება, რაც, გარდა დემოგრაფიული სურათის ცვლილებისა, ასევე, უარყოფითად აისახება როგორც სოციალურ, ასევე ეკონომიკურ ფონზე. მოსახლეობის გადინება ძირითადად შეეხება შედარებით დაბალ ასაკობრივ ჯუფს, რაც ყველაზე მნიშვნელოვან სამუშაო ძალას წარმოადგენს ეკონომიკური განვითარებისთვის. შესაბამისად, ლენტეხის მუნიციპალიტეტის განვითარებისთვის სასიცოცხლოდ მნიშნელოვანია მიგრაციის შემცირება და მუნიციპალიტეტიდან წასულ პირთა

დაბრუნებისთვის ხელშემწყობი გარემოებების შექმნა.

ლენტეხის მუნიციპალიტეტი გამოირჩევა ეკონომიკური აქტივობის სიმწირით; აქ არ არის წარმოდგენილი რაიმე მსხვილი ბიზნესი, ხოლო მცირე და საშუალო ზომის ბიზნესები ნაკლებად დივერსიფიცირებულია. მუნიციპალიტეტს აქვს სოფლის მეურნეობის მრავალსაუკუნოვანი ტრადიცია, თუმცა აღსანიშნავია, რომ მუნიციპალიტეტი დიდწილად მცირემიწიანია - მუნიციპალიტეტის ტერიტორიის 64% უჭირავს ტყეს, ხოლო საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საერთო ფართობი შეადგენს მთლიანი ტერიტორიის მხოლოდ 0.3%[16] (403 ჰექტარი). გარდა საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწებისა, მუნიციპალიტეტის მთლიანი სასოფლო სამეურნეო სავარგულების ფართობი შეადგენს 22 543 ჰექტარს, საიდააც 5306 ჰექტარი სათიბი მიწებია, 15 537 ჰექტარი - საძოვარი, 1 560 ჰექტარი სახნავი და 140 ჰექტარი - მრავალწლიანი ნარგავები. შესაბამისად, სოფლის მეურნეობის წილი ადგილობრივ ეკონომიკაში მისი სრული პოტენციალის ათვისების პირობებში საკმაოდ მცირე შეიძლება იყოს. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ლენტეხის მუნიციპალიტეტში ჰაერისა და ნიადაგის დაბინძურების მაჩვენებელი ძალიან დაბალია საქართველოს სხვა მუნიციპალიტეტებთან შედარებით, რაც ქმნის ეკოლოგიურად სუფთა სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების შესაძლებლობას. შესაბამისად, ლენტეხის მუნიციპალიტეტის სოფლის მეურნეობის სექტორის მასშტაბის შეზღუდულობიდან გამომდინარე, არსებობს სოფლის მეურნეობის პროდუქციის ხარისხით პოზიციონირების საჭიროება.

ერთ-ერთი მიმართულება, რომელიც მოსახლეობისა და ადგილობრივი ხელისუფლების მხრიდან მიიჩნევა პერსპექტიულად, და რომლის პოტენციალიც ლენტეხის მუნიციპალიტეტში საკმაოდ სუსტად არის ათვისებული, ტურიზმია. სტრატეგიის მომზადების მომენტისთვის ტურიზმი მუნიციპალიტეტში სეზონური ხასიათის არის, ძირითადად ზაფხულის პერიოდში, და ამ დროსაც როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო მოგზაურთა რიცხვი საკმაოდ დაბალია. მოგზაურთა შორის არიან ზემო სვანეთიდან მომავალი პირებიც, რომლებიც ლენტეხის

[16] საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. *2014 წლის მოსახლეობის საყოველთაო აღწერა.* ხელმისაწვდომია: http://regions.geostat.ge/regions/racha/cageri.php?lang=ka

მუნიციპალიტეტის გავლით ქუთაისისკენ მიემართებიან, თუმცა, მათი დიდი ნაწილი ლენტეხს არ აღიქვამს დანიშნულების ადგილად და მათი მხოლოდ ძალიან მცირე ნაწილი რჩება ლენტეხში 1 დღით მაინც. მიუხედავად იმისა, რომ მუნიციპალიტეტს აქვს მიმზიდველი მდებარეობა, მდიდარი ბუნება, კულტურული და ისტორიული ძეგლების სიმრავლე, უნიკალური ფოლკლორი, ტრადიციები და კულტურა, მუნიციპალიტეტის ცნობადობა, როგორც ტურიზმის დანიშნულების ადგილი, საკმაოდ მცირეა. მუნიციპალიტეტში სუსტადაა განვითარებული ტურისტული ინფრასტრუქტურა, რაც მოიცავს როგორც განთავსებით უზრუნველყოფისა და კვების ობიექტებს, ასევე მარკირებასა და მრავალფეროვან ტურისტულ პროდუქტებს. ამასთანავე, აუთვისებელია მუნიციპალიტეტის ტურისტული პოტენციალი ზაფხულის სეზონის მიღმა, მიუხედავად იმისა, რომ ლენტეხის მუნიციპალიტეტს აქვს წინაპირობა იმისთვის, რომ გახდეს ოთხივე სეზონის ტურისტული დანიშნულების ადგილი. ამ მიმართულებით, ადგილობრივი მოსახლეობისა და ტურიზმის სექტორში მომუშავე ორგანიზაციების/პირების აზრით მრავალი გამოწვევაა, მათ შორის მუნიციპალიტეტის დაბალი ცნობადობა და აღქმადობა, როგორც ტურისტული დანიშნულების ადგილი, ტურისტული ნაკადების არასტაბილურობა, ფინანსების ხელმიუწვდომლობა, მომსახურების სფეროში დასაქმების მსურველთა დეფიციტი, რიგი სერვისების, მათ შორის სამედიცინო მომსახურების, სამძებრო-სამაშველო დახმარებისა და გაზმომარაგების ხელმიუწვდომლობა.

როგორც ზევით იქნა აღნიშნული, მუნიციპალიტეტში ბიზნეს სექტორი ნაკლებადაა დივერსიფიცირებული. ტურიზმი და სოფლის მეურნეობა, მოცემულ ეტაპზე სეზონურია, ხოლო სხვა არასეზონური საქმიანობები ნაკლებადაა განვითარებული, რისი საჭიროებაც მუნიციპალიტეტს უდგას როგორც ეკონომიკური გაძლიერების, ასევე მუნიციპალიტეტიდან მიგრაციის შენელების კონტექსტში.

მუნიციპალიტეტში მოსახლეობისა და ბიზნესის მხარდამჭერი ინფრასტრუქტურა საჭიროებს განვითარებას - ეს ეხება როგორც გზებს (განსაკუთრებით შიდამუნიციპალურ გზებს), ასევე, ისეთ სერვისებს, როგორიცაა ბუნებრივი აირის მიწოდება, ინტერნეტის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა/გაუმჯობესება, სასმელი წყლით მომარაგება, ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტობა და ნარჩენების მართვა. აღსანიშნავია, რომ ვინაიდან მუნიციპალიტეტი არ არის გაზიფიცირებული, შინამეურნეობები და ბიზნესი სრულად არიან დამოკიდებულნი ელექტრონერგიასა და ხის გამოყენებაზე

საწვავად, რაც ზრდის მოთხოვნას ელექტროენერგიის მოხმარებაზე და იმავდროულად, ხელშემწყობ ფაქტორებს ქმნის ხის ჭრისთვის საწვავად გამოყენების მიზნით. შესაბამისად, მუნიციპალიტეტის განვითარებისთვის მნიშნელოვანია როგორც ინფრასტრუქტურის, ასევე მხარდამჭერი სერვისების განვითარება, ისევე როგორც, შედარებით სუფთა და მდგრადი ენერგორესურსების მოხმარების პოპულარიზაცია.

როგორც ზევით იქნა აღნიშნული, ლენტეხის მუნიციპალიტეტისთვის მოსახლეობის მუნიციპალიტეტიდან მიგრაცია წარმოადგენს ერთ-ერთ გამოწვევას, რაც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს დემოგრაფიულ სტრუქტურაზე. სტრატეგიის მომზადების პროცესში მიგრაციის მამოტივირებელ ფაქორებში მთავარ საკითხად ადგილზე დასაქმებისა და პერსპექტივების ნაკლებობა და დაბალი ანაზღაურება დასახელდა. ამასთანავე, სტრატეგიის მომზადების პროცესში სკოლის უფროსი კლასის მოსწავლეებთან ჩატარებული შეხვედრის შედეგად გამოიკვეთა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების არარსებობა, რისთვისაც მათ უმრავლესობას უწევს სხვა მუნიციპალიტეტში (თბილისი, ქუთაისი, ბათუმი) წასვლა. ამასთანავე, ვინაიდან მუნიციპალიტეტის მოსახლეობა საკმაოდ მცირეა, ბავშვები მიუთითებდნენ სოციალიზაციის ნაკლებობას და მოწყენილობას მუნიციპალიტეტში, რაც მათთვის იქ ყოფნას ხდის არამიმზიდველს.

# ნაწილი 3: მონაწილეობითი დაგეგმვა

## 3.1. დაინტერესებულ მხარეთა მონაწილეობა

ლენტეხის ადგილობრივი განვითარების სტრატეგიის შემუშავებაზე პასუხისმგებელია ლენტეხის ადგილობრივი სამოქმედო ჯგუფის მმართველი საბჭო. გამომდინარე იქიდან, რომ ლენტეხის ადგილობრივი სამოქმედო ჯგუფი დაფუძნდა 2024 წელს და წინამდებარე სტრატეგია წარმოადგენს პირველ ასეთ დოკუმენტს ლენტეხის LAG-სთვის, დოკუმენტის შემუშავების პროცესში მმართველ საბჭოს დახმარებას უწევდა ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის „მთიანი საქართველოს ახალი სიცოცხლე“ (ENPARD 4) გუნდი და პროექტის მიერ დაქირავებული კონსულტანტი.

### *მოსახლეობის გამოკითხვა*

სტრატეგიის მომზადებას წინ უძღვოდა რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის მხარეში ინოვაციებისა და რეფორმების ცენტრის მიერ ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის „მთიანი საქართველოს ახალი სიცოცხლე“ (ENPARD 4) ფარგლებში ჩატარებული ფართომასშტაბიანი კვლევა, რომელიც სწავლობდა სამიზნე რეგიონის ოთხივე მუნიციპალიტეტის მოსახლეობის განწყობებს, მოსაზრებებს, გამოცდილებებსა და საჭიროებებს. კვლევისას გამოყენებული იყო რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევის მეთოდები და მისი შედეგები რეპრეზენტატულია როგორც რეგიონის, ასევე თითოეული მუნიციპალიტეტის დონეზე.

ლენტეხის მუნიციპალიტეტში სულ გამოიკითხა მუნიციპალიტეტის 140 მაცხოვრებელი - 77.9% სოფლად მცხოვრები და 22.1% დაბა ლენტეხის მაცხოვრებელი. გამოკითხულთა 69.3% წარმოადგენდნენ ქალები, ხოლო 30.7% - კაცები.

კვლევის შედეგად გამოიკვეთა მოსახლეობის საქმიანობასთან, სახელმწიფო დაწესებულებებთან ნდობის, საჯარო სერვისებით კმაყოფილების, პრიორიტეტული სერვისების, ბიზნესის დაწყება-წარმოებასთან დაკავშირებული გამოცდილებისა და შემაფერხებელ ფაქტორებთან დაკავშირებული საკითხები. კვლევის მიგნებები

გათვალისწინებული იყო წინამდებარე სტრატეგიის როგორც სიტუაციური ანალიზის, ასევე სტრატეგიული ხედვისა და პრიორიტეტების განსაზღვრისა და აქტივობების დაგეგმვის პროცესში.

### *ახალგაზრდების ჩართულობა*

სტრატეგიის შემუშავების პროცესში ჩართულები იყვნენ ლენტეხის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდები; დისკუსია გაიმართა ადგილობრივი სკოლების უფროსი კლასების მოსწავლეებთან. დისკუსიის მიზანი იყო მათი საჭიროებების, წუხილებისა და სამომავლო გეგმების, ისევე როგორც მუნიციპალიტეტში ცხოვრების დადებითი და უარყოფითი მხარეების შესახებ მსჯელობა. დისკუსიის შედეგად გამოიკვეთა კონკრეტული საჭიროებები და წუხილები, რომლებიც ადგილობრივ სკოლის მოსწავლეებს და ახალგაზრდებს აქვთ, ისევე როგორც მათი გრძელვადიანი გეგმები, რომლებიც, უმეტეს შემთხვევაში ლენტეხის მუნიციპალიტეტში (მათ შორის, სკოლის მოსწავლეების შემთხვევაში - სკოლის დასრულების შემდგომ) დარჩენას არ მოიაზრებდა.

### *მცირე და საშუალო ბიზნესის წარმომადგენლები*

მცირე და საშუალო ბიზნესის წარმომადგენლებთან ერთობლივი მსჯელობა გაიმართა, რომელშიც მონაწილეობდნენ ბიზნესის წარმომადგენლები სხვადასხვა სფეროებიდან - სოფლის მეურნეობა და თაფლის წარმოება. მსჯელობის მიზანი იყო მცირე და საშუალო ბიზნესის წარმომადგენლებთან ერთად ლენტეხის მუნიციპალიტეტში მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების ხელშემწყობი და ხელშემშლელი ფაქტორების, საფრთხეებისა და შესაბამისი დარგების განვითარების პერსპექტივების განხილვა.

დისკუსიისას გამოიკვეთა კონკრეტული საკითხები, რომლებიც ადგილობრივი მცირე და საშუალო ბიზნესის წარმომადგენლების მოსაზრებით, აფერხებს და საფრთხეს უქმნის ბიზნესის განვითარებას. მსჯელობა, ასევე, შეეხო სხვადასხვა ტიპის საგრანტო და ბიზნესის მხარდამჭერ პროგრამებს, რომლებიც მუნიციპალიტეტშია ხელმისაწვდომი, მეწარმეების გამოცდილებას ამ პროგრამებით სარგებლობის შესახებ და პროგრამების შედეგიანობას მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების ჭრილში.

*LAG-ის მმართველი საბჭო და მუნიციპალიტეტის აქტიური მაცხოვრებლები*

ვიდრე ლენტეხის ადგილობრივი სამოქმედო ჯგუფი დაფუძნდებოდა, 2023 წელს, ინოვაციებისა და რეფორმების ცენტრის მიერ ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის „მთიანი საქართველოს ახალი სიცოცხლე“ (ENPARD 4) ფარგლებში, ჩატარდა 4-დღიანი ტრენინგი, რომელშიც მონაწილეობდნენ ლენტეხის მუნიციპალიტეტიდან იმ პირთა ნაწილი, ვინც ინტერესი გამოხატა ლენტეხის LAG-ის წევრობის შესახებ. ტრენინგში მონაწილეთა შეზღუდული რაოდენობის გამო, ტრენინგში მონაწილეობისთვის შეირჩნენ ის პირები, ვინც ყველაზე ადრე დააფიქსირეს ტრენინგში მონაწილეობის სურვილი. ტრენინგი შეეხო LEADER მიდგომის საკვანძო საკითხებს, მათ შორის, ამ მიდგომის პრინციპებსა და ადგილობრივი განვითარების სტრატეგიის შემუშავებას.

ლენტეხის ადგილობრივი სამოქმედო ჯგუფის მმართველი საბჭო აქტიურად იყო ჩართული ადგილობრივი განვითარების სტრატეგიის შემუშავების პროცესში. პირველი შეხვედრა დაეთმო ლენტეხის მუნიციპალიტეტის სოციო-ეკონომიკური სიტუაციური ანალიზის წარმოებას, ძირითადი სტრატეგიული მიმართულებების განსაზღვრა-შეთანხმებასა და ამ მიმართულებების ჭრილში SWOT ანალიზის წარმოებას. ვინაიდან მსჯელობა საკმაოდ დატვირთული იყო, პირველი შეხვედრა დაეთმო SWOT ანალიზს ტურიზმისა და სოფლის მეურნეობის მიმართულებით, ხოლო მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებისა და სპორტის, კულტურის, განათლებისა და ახალგაზრდობის მიმართულების SWOT-სთვის ცალკე ორი შეხვედრა დაიგეგმა, რომელიც დისტანციურ ფორმატში ჩატარდა. SWOT ანალიზი, რომელიც მმართველ საბჭოსთან ერთად შემუშავდა შემდგომ, შეივსო სიტუაციური ანალიზისა და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან გამოკვეთილი საკითხებით, რომელიც შეჯამებული სახით აისახა სტრატეგიის დოკუმენტში.

სტრატეგიის დოკუმენტის სამუშაო ვერსია განხილული იყო მმართველი საბჭოს მიერ, ვიდრე მოხდებოდა მისი საჯარო დისკუსიების ორგანიზება. განხილვის შედეგად სტრატეგიის დოკუმენტის სამუშაო ვერსიამ განიცადა მცირე ცვლილებები, ხოლო, მას შემდეგ, რაც ყველა საჭირო ცვლილება იქნა განხილული, მმართველი საბჭოს ორგანიზებით ჩაინიშნა და ჩატარდა საჯარო განხილვები მოსახლეობასთან დაბა ლენტეხსა და სოფელ რცხმელურში, ისევე როგორც რადიოს „ამბროლაური ხმა“ საშუალებით.

ასევე, ჩატარდა შეხვედრა (დისტანციურ ფორმატში) ლენტეხის LAG-ის წევრებისთვის - სტრატეგიის პროექტის გაცნობა-განხილვის მიზნით. ამ შეხვედრის შესახებ LAG-ის წევრების ინფორმირება მოხდა წინასწარ როგორც SMS შეტყობინებების, ისე სატელეფონო კომუნიკაციის გზით და ასევე, ლენტეხის LAG-ის Facebook-გვერდზე დაგეგმილი შეხვედრის თაობაზე ინფორმაციის გავრცელებით. ამ შეხვედრაზე დასწრების შესაძლებლობა გარდა ლენტეხის LAG-ის წევრებისა, ჰქონდათ სხვა დაინტერესებულ პირებსაც.

შეხვედრების პარალელურად, ლენტეხის LAG-ის წევრებმა და პროექტის „მთიანი საქართველოს ახალი სიცოცხლე“ ბენეფიციარებმა ლენტეხის მუნიციპალიტეტიდან, SMS შეტყობინებით მიიღეს სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის ბმულები, რომ მათ ჰქონოდათ დოკუმენტების გაცნობისა და თავიანთი მოსაზრებების გაზიარების შესაძლებლობა ლენტეხის LAG-ის მმართველი საბჭოსთვის.

ჩატარებული შეხვედრების და რადიო გადაცემის შედეგად მოსახლეობისგან მიღებული უკუკავშირი გათვალისწინებული იქნა სტრატეგიაში. სტრატეგიის პროექტის ბოლო ვერსია განთავსდა ლენტეხის LAG-ის Facebook-გვერდზე, რომ მმართველი საბჭოს მიერ სტრატეგიის დამტკიცებამდე, ყველა დაინტერესებულ პირს ჰქონოდა მისი გაცნობისა და საკუთარი მოსაზრების გაზიარების შესაძლებლობა.

## 3.3. ადგილობრივი განვითარების სტრატეგიის (LDS) შეთანხმებული პრიორიტეტები

ლენტეხის ადგილობრივი განვითარების სტრატეგიაზე მუშაობისას მუნიციპალიტეტის გამოწვევების, საჭიროებებისა, შესაძლებლობებისა და სიტუაციური ანალიზის შედეგად გამოიკვეთა შემდეგი ოთხი ძირითადი პრიორიტეტული მიმართულება:

- ✓ **ლენტეხის მუნიციპალიტეტში ტურიზმის სექტორის განვითარების ხელშეწყობა** - როგორც მუნიციპალიტეტის გაძლიერების ერთ-ერთი პერსპექტიული მიმართულება.
- ✓ **ლენტეხის მუნიციპალიტეტში სოფლის მეურნეობის განვითარების ხელშეწყობა** - როგორც ერთ-ერთი ტრადიციული მიმართულება, სადაც იკვეთება გარკვეული კონკურენტული უპირატესობა საქართველოს სხვა რეგიონებთან მიმართებით ნატურალური პროდუქციის წარმოების კუთხით.

- ✓ **მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარება და დივერსიფიკაცია** - ვინაიდან ლენტეხის მუნიციპალიტეტში სამეწარმეო საქმიანობა საკმაოდ ერთგვაროვანია, სამეწარმეო მიმართულებების დივერსიფიკაცია მნიშვნელოვანია რიგი რისკების თავიდან ასაცილებლად და განვითარების ხელშესაწყობად.

- ✓ **სპორტის, კულტურის, განათლებისა და ახალგაზრდობის მხარდაჭერა** - როგორც მუნიციპალიტეტიდან ახალგაზრდობის გადინების შემარბილებელი/მუნიციპალიტეტიდან წასული ახალგაზრდების უკან დაბრუნების მამოტივირებელი, და მუნიციპალიტეტის ზოგადად განვითარების ხელშემწყობი მექანიზმი.

გარდა პრიორიტეტული მიმართულებებისა, გამოიკვეთა რიგი საკითხები, რომლებიც ყველა ზემოხსენებულ მიმართულებას ეხება და რომელთა პროცესში ინტეგრაცია ხელს შეუწყობს მუნიციპალიტეტის განვითარებას.

# ნაწილი 4: ლენტეხის ადგილობრივი განვითარების სტრატეგიის (LDS) სამოქმედო გეგმა

## 4.1. ხედვა

2024-2028 წლებში ლენტეხის ადგილობრივი სამოქმედო ჯგუფი, პარტნიორებთან ერთად ვიმუშავებთ იმისთვის, რომ მოვახდინოთ ადგილობრივი დაინტერესებული მხარეების მუნიციპალიტეტის ხედვის ხორცშესხმა:

- ✓ თემი, სადაც ცხოვრების დონე მუდმივად იზრდება
- ✓ ადგილი, სადაც მრავალფეროვანი მდგრადი სამეწარმეო საქმიანობა უწყვეტად ვითარდება და ადგილზე ღირსეული დასაქმების შესაძლებლობები იქმნება
- ✓ გარემო, სადაც საზოგადოების ყველა წევრს, განსაკუთრებით ახალგაზრდებს, უხარიათ ცხოვრება, აქვთ წვდომა მრავალფეროვან სერვისებზე, კულტურულ, საგანმანათლებლო და სპორტულ სივრცეებსა და ღონისძიებებზე, და შეუძლიათ საკუთარი უნარებისა და შესაძლებლობების რეალიზება

ამ ხედვის რეალიზების პროცესში და ჩვენი საქმიანობის განხორციელებისას ვიზიარებთ შემდეგ ღირებულებებს:

- ✓ **ყველაფერი პირადულია** - ყველა, ვინც ამ ხედვის რეალიზებაში ვმონაწილეობთ უშუალოდ ვართ ჩართულნი ჩვენი თემის ცხოვრებაში, რაც ამყარებს კავშირებს თემის წევრებს შორის. ჩვენ მიზანმიმართულად ვდებთ ენერგიასა და ძალისხმევას ურთიერთობების შენებაში ისევე, როგორც თემის განვითარების სხვა მნიშვნელოვან ასპექტებში;
- ✓ **არასდროს ვწყვეტთ ძალისხმევას** - ჩვენ აქ გრძელვადიანად ვართ, მაშინაც კი, როდესაც ყველაფერი მარტივად არ მიდის. ჩვენ არ ვიწყებთ პროგრამებს იმისთვის, რომ ისინი შუა გზაზე მივატოვოთ, არამედ ვმოქმედებთ ხედვის რეალიზებამდე;
- ✓ **ვაშენებთ ხიდებს და არა ჯარს** - ყველაფერი რასაც ვაკეთებთ ეფუძნება მონაწილეობის, მრავალფეროვნებისა და სამართლიანობის პრინციპებს.

## 4.2. სტრატეგიული მიდგომა

ადგილობრივი დაინტერესებული მხარეების ჩართულობის საფუძველზე გამოიკვეთა ის სტრატეგიული გამოწვევები, რომლებთან გამკლავებაც აუცილებელია ხედვის რეალიზაციისთვის და მიმართულებები, რომლებიც ამ გამოწვევებთან გასამკლავებლად არის მნიშვნელოვანი.

ძირითად გამოწვევებად განისაზღვრა:

- ✓ მოსახლეობის, განსაკუთრებით ახალგაზრდების მიგრაცია ლენტეხის მუნიციპალიტეტიდან და მათი უკან დაბრუნების პესიმისტური მოლოდინები, რომელიც ძირითადად გამოწვეულია ადგილზე დასაქმების პრობლემისა და დაბალი ანაზღაურებიდან გამომდინარე;
- ✓ პერსპექტიული და ტრადიციული სამეწარმეო პოტენციალის აუთვისებლობა ტურიზმისა და სოფლის მეურნეობის სექტორში, რომელიც გამოწვეულია ამ მიმართულებებში არსებული მთელი რიგი პრობლემებით;
- ✓ დამოკიდებულება მხოლოდ შეზღუდულ სამეწარმეო სექტორებზე (ტურიზმი და სოფლის მეურნეობა), რაც ზრდის რისკებს მუნიციპალიტეტის ეკონომიკისთვის.

ამ ძირითად გამოწვევებზე საპასუხოდ განისაზღვრა ოთხი ძირითადი სტრატეგიული მიმართულება, რომლის განვითარებაც უზრუნველყოფს 2024-2028 წლებისთვის ლენტეხის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი განვითარების სტრატეგიით განსაზღვრული ხედვის რეალიზებას:

- ✓ ტურიზმის სექტორის განვითარება - რომლის პოტენციალიც დიდწილად აუთვისებელია და რომელსაც აქვს პოტენციალი შექმნას დასაქმების/თვითდასაქმების მნიშვნელოვანი შესაძლებლობები მაღალი ანაზღაურებით, განსაკუთრებით ახალგაზრდებისთვის.

- ✓ სოფლის მეურნეობის სექტორის განვითარება - რომლის პოტენციალი კომერციულად ნაკლებადაა ათვისებული და რომელსაც, გარდა მუნიციპალიტეტის ტრადიციული სექტორის განვითარებისა, ასევე აქვს პოტენციალი, შექმნას დამატებითი დასაქმების/თვითდასაქმების შესაძლებლობები სხვადასხვა ასაკობრივი და სოციალური ჯგუფისთვის ლენტეხის მუნიციპალიტეტში.

- ✓ მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარება და დივერსიფიკაცია - როგორც რისკების შერბილებისა და ახალი ეკონომიკური შესაძლებლობების პოტენციალის მატარებელი მიმართულება.

- ✓ სპორტის, კულტურის, განათლებისა და ახალგაზრდობის მხარდაჭერა - როგორც მიგრაციის შემარბილებელი მექანიზმი, მუნიციპალიტეტიდან წასული ახალგაზრდების უკან დაბრუნების მამოტივირებელი შესაძლებლობა და მუნიციპალიტეტის ზოგადი განვითარების ხელშემწყობი ფაქტორი.

შემდგომ თავებში მოცემულია თითოეული მიმართულების მიმოხილვა მიზნებთან და შემოთავაზებულ ღონისძიებებთან ერთად.

# ტურიზმის სექტორის განვითარება

## შესავალი

საქართველოში ტურიზმის სექტორის განვითარება უკანასკნელ ათწლეულზე მეტია რაც აქტიურად მიმდინარეობს და მისი წილი ქვეყნის მთლიან შიდა პროდუქტში 6% სცდება. პოლიტიკის დონეზე, საქართველოს შემუშავებული აქვს „საქართველოს ტურიზმის სტრატეგია 2025“, რომელიც განსაზღვრავს ხედვას ტურიზმის სექტორისთვის:

> *„2025 წლისთვის საქართველო ცნობილი იქნება, როგორც მოწინავე, ყველა სეზონის, მაღალი ხარისხის ტურისტული ქვეყანა, გამორჩეული თავისი კულტურული და ბუნებრივი მემკვიდრეობით, მსოფლიო დონის მომსახურებითა და სტუმარმასპინძლობის უძველესი ტრადიციით“*[17].

სტრატეგიით ტურიზმის სექტორში ქვეყნის ძლიერ მხარეებად იდენტიფიცირებულია მრავალფეროვანი ბუნება, კულტურა და ტრადიციები, მეღვინეობის ტრადიცია, დაცული ტერიტორიები, ხელსაყრელი კლიმატი, საინვესტიციო გარემო და ადგილობრივი მოსახლეობის სტუმართმოყვარეობა. იმავდროულად, სტრატეგიაში მოცემულია სექტორის წინაშე მდგარი ძირითადი გამოწვევები, სადაც ყურადღებაა გამახვილებული ტურისტული ინფრასტრუქტურის გამართვაზე, მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებაზე, ქვეყნის ტურისტული პოტენციალის შესახებ ცნობადობის ამაღლებაზე, ტურისტული პროდუქციის დივერსიფიცირებასა და ტურიზმის სექტორში განათლების ხარისხის გაუმჯობესებაზე. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაკლოვანება, რომელიც საქართველოში ტურიზმის სექტორთან მიმართებით იკვეთება არის საქართველოში მომავალი საერთაშორისო ვიზიტორების დაბალგადახდისუნარიანობა, რის საპასუხოდაც სტრატეგიის განხორციელების პროცესში

---

[17] საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია. *საქართველოს ტურიზმის სტრატეგია 2025.* ხელმისაწვდომია: https://gnta.ge/wp-content/uploads/2015/01/%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%A5%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%95%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%A1-%E1%83%A2%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%96%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%A2%E1%83%94%E1%83%92%E1%83%98%E1%83%90.pdf

მაღალგადახდისუნარიანი ვიზიტორების მოზიდვაა განსაზღვრული პრიორიტეტად, ისევე როგორც საერთაშორისო ვიზიტორების ვიზიტის ხანგრძლივობის გაზრდა.

ტურიზმის სექტორში ასევე მნიშვნელოვანია „საქართველოს ეკოტურიზმის სტრატეგია 2020-2030“,[18] რომელიც სწორედ ტურიზმის სექტორის დივერსიფიცირებას და ამ პროცესში ეკოტურიზმის პოტენციალის რეალიზებას ემსახურება. ეკოტურიზმისთვის სტრატეგიით განსაზღვრული ხედვაა:

> *„2030 წლისათვის საქართველო იქნება წამყვანი, ეკოტურისტული ქვეყანა კავკასიის რეგიონში, რომელიც მისი მდიდარი ცოცხალი კულტურისა და ბუნების, აგრეთვე, მაღალი ხარისხის მომსახურების გათვალისწინებით უზრუნველყოფს ოთხივე სეზონის ეკოტურისტულ შეთავაზებებს. ეკოტურიზმი საქართველოში უზრუნველყოფს ტურისტებისთვის ავთენტური გამოცდილების გაზიარებას, სარგებელი მოაქვს ადგილობრივი თემებისთვის და მნიშვნელოვნად უწყობს ხელს ქვეყნის ეკონომიკურ კეთილდღეობას; ამავე დროს, იგი უზრუნველყოფს ბუნებრივი და კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნებას და გარემოსდაცვითი ცნობიერების ამაღლებას ტურისტებსა და ადგილობრივ მოსახლეობაში“.*[19]

ამ ხედვის რეალიზებისთვის განსაზღვრული ამოცანები მოიცავს ეკოტურისტული პროდუქტებისა და შეთავაზებების გამრავალფეროვნებას, მიმართულობის სარგებლიანობის გაზრდას, შესაბამისი ინფრასტრუქტურისა და უნარების განვითარებას, ადგილობრივი მოსახლეობის დაინტერესებას ეკოტურისტული საქმიანობით, მის პოპულარიზაციას მიზნობრივ აუდიტორიაში და თანამშრომლობის ხელშეწყობას ცენტრალურ და ადგილობრივ ხელისუფლებასა და მოსახლეობას შორის.

---

[18] საქართველოს ეკოტურიზმის სტრატეგია 2020-2030. ხელმისაწვდომია: https://gnta.ge/wp-content/uploads/2021/12/%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%A5%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%95%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%A1-%E1%83%94%E1%83%99%E1%83%9D%E1%83%A2%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%96%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%A2%E1%83%94%E1%83%92%E1%83%98%E1%83%90-21.12.21-1.pdf

[19] იქვე

*ცხრილი #8: ეროვნულ დონეზე საერთაშორისო ვიზიტორთა ძირითადი სტატისტიკური მაჩვენებლების შეჯამება 2023 წლისთვის*

| | | |
|---|---|---|
| ვიზიტორების რაოდენობა | | 2,057,200 |
| იმ ვიზიტორთა წილი, რომლებიც დასვენების/პირადი მიზნებისთვის ჩამოდიან | | 79% |
| განმეორებითი ვიზიტორების წილი | | 73% |
| ვიზიტორების მიერ მონახულებული რეგიონების top 3, რომელზეც ვიზიტორთა 75% მოდის | თბილისი | 33% |
| | აჭარის ა/რ | 30% |
| | მცხეთა-მთიანეთი | 12% |
| ვიზიტორების მიერ ვიზიტისას გათეული ღამეების საშუალო რაოდენობა | | 5.27 ღამე |
| ვიზიტორების მიერ ვიზიტისას გაწეული ჯამური ხარჯი და ხარჯების ძირითადი წილის კლასიფიკაცია | **4 314.8 მილიონი ლარი** | |
| | აქედან განთავსების ხარჯები | 36% |
| | საყიდლები | 23% |
| | საკვები და სასმელი | 22% |
| | გასართობი, გამაჯანსაღებელი, კულტურული და სპორტული ღონისძიებები | 10% |
| ვიზიტორთა ძირითადი ასაკობრივ ჯგუფები | 15-30 წლის | 27% |
| | 31-50 წლის | 48% |
| | 51-70 წლის | 23% |
| ვიზიტორთა წარმოშობის ძირითადი ქვეყნები | რუსეთის ფედერაცია | 23% |
| | თურქეთი | 23% |
| | სომხეთი | 16% |

| | |
|---|---|
| ევროკავშირის წევრი სახელმწიფოები | 7% |
| სხვა ქვეყნები | 15% |

*ცხრილი #9: ეროვნულ დონეზე ადგილობრივ ვიზიტორთა ძირითადი სტატისტიკური მაჩვენებლების შეჯამება 2023 წლისთვის*

| | | |
|---|---|---|
| ვიზიტორთა რაოდენობა | | 1 608 500 |
| ვიზიტორების მიერ მონახულებული რეგიონების top 3, რომელზეც ვიზიტორთა 50% მოდის | თბილისი | 23% |
| | იმერეთი | 21% |
| | აჭარის ა/რ | 10% |
| ვიზიტორების მიერ ვიზიტისას გაწეული ჯამური ხარჯი და ხარჯების ძირითადი წილის კლასიფიკაცია | | **1 111.9 მილიონი ლარი** |
| | საყიდლები | 35% |
| | საკვები | 25% |
| | ტრანსპორტი | 20% |
| | განთავსება | 6% |
| ვიზიტორთა ძირითადი ასაკობრივ ჯგუფები | 15-30 წლის | 23% |
| | 31-50 წლის | 37% |
| | 51-70 წლის | 32% |
| | 71+ | 8% |

## ტურიზმის სექტორი რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის მხარეში

რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის მხარე მდიდარია ბუნების, კულტურისა და ისტორიული ძეგლებით, და ამასთანავე, მხარეში წარმოდგენილია უნიკალური ფოლკლორი, ტრადიციები, გასტრონომია და ყურძნის უმნიშვნელოვანესი მიკროზონები, კურორტული ზონები, რაც ქმნის მრავალფეროვანი ტურიზმის განვითარების პოტენციალს. მიუხედავად ამისა, ტურიზმის პოტენციალის დიდი ნაწილი ჯერ-ჯერობით აუთვისებელია.

დღეისთვის რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო-სვანეთის მხარეში ტურიზმის სექტორი სეზონურია და ძირითადი დატვირთვა მოდის ზაფხულის სეზონზე.

*ცხრილი #10 რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის მხარეში ტურიზმის სექტორის ზოგადი მაჩვენებლები*[20]

| რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის მხარე | 2018 | 2019 | 2020 | 2021 | 2022 |
|---|---|---|---|---|---|
| სტუმრების რაოდენობა სასტუმროებსა და სასტუმროს ტიპის დაწესებულებებში | 19 400 | 23 000 | 12 700 | 13 000 | 20 300 |
| სასტუმროებისა და სასტუმროს ტიპის დაწესებულებების რაოდენობა რეგიონში | 27 | 38 | 25 | 56 | 56 |

გარდა ოფიციალური სტატისტიკისა, სტრატეგიის მომზადების მომენტში რეგიონის მასშტაბით Booking.com-ზე 86 ერთეული ღამის გასათევი ობიექტი იძებნება, რომელთა უმრავლესობაც ამბროლაურის მუნიციპალიტეტშია თავმოყრილი.

## ტურიზმი ლენტეხის მუნიციპალიტეტში

ლენტეხის მუნიციპალიტეტს აქვს პოტენციალი, იყოს მრავალფეროვანი ტურიზმის - სათავგადასავლო, ეკოტურიზმი, საცხენოსნო ტურიზმი, ველოტურიზმის, პილგრიმული ტურიზმი, გასტრონომიული და სხვა დანიშნულების ადგილი წლის ოთხივე სეზონზე. თუმცა, საკმაოდ დაბალია მუნიციპალიტეტის ცნობადობა როგორც ზოგადად, ასევე როგორც ტურისტული დანიშნულების ადგილი, და შესაბამისად, დაბალია ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარებაც.

ლენტეხის მუნიციპალიტეტში მრავალი ტურისტული პოტენციალის მქონე ბუნების, კულტურისა და ისტორიის ძეგლი მდებარეობს, მათ შორის: ზესხოს ხეობა, შკედი, კურორტი

[20] საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. *რეგიონული სტატისტიკა:* https://www.geostat.ge/ka/modules/categories/93/regionuli-statistika

ლაშიჭალა, კურორტი მუაში, ნატბეურას ჩანჩქერი, სოფელი მახაში, სვანური კოშკები და მაჩუბები, სკალდის მთავარანგელოზის ეკლესია, ლაშხეთის თემის ეკლესიები, ადგილობრივი ფოლკლორი და სხვა. საბჭოთა დროს ლენტეხის მუნიციპალიტეტში ასევე ფუნქციონირებდა ორი უმნიშვნელოვანესი ალპინისტური ბანაკი - ზესხო და აილამა, თუმცა დღეისთვის ორივე ბანაკი დახურულია.

ლენტეხის მუნიციპალიტეტის მესტიის მუნიციპალიტეტთან ერთად ფარავს სვანეთის DMO[21], რომლის მიზანია:

> *"სვანეთის ხელუხლებელი პეიზაჟები, უძველესი ტრადიციები და მიმზიდველი კულტურული მემკვიდრეობა მისი უდიდესი ფასეულობაა. სვანეთის დანიშნულების მენეჯმენტის ორგანიზაცია (DMO) შეიქმნა ამ უნიკალური ატრიბუტების დაცვისა და განვითარების მიზნით, რაც უზრუნველყოფს, რომ ტურიზმი რეგიონში იყოს მდგრადი, ავთენტური და მომგებიანი როგორც ვიზიტორებისთვის, ასევე მაცხოვრებლებისთვის."*

სვანეთის DMO-ს სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შემუშავებისას განხორციელებული აქვს სვანეთის (ზემო და ქვემო სვანეთი) შეფასება და ანალიზი[22], რომელიც მოიცავს ლენტეხის მუნიციპალიტეტსაც. შეფასების დოკუმენტში ხაზი აქვს გასმული უშგული-ლენტეხის დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაციის მნიშვნელობას (რომლის დასრულებაც დაგეგმილია 2024 წელს), რომელიც შესაძლებელს გახდის ზემო და ქვემო სვანეთის ერთმანეთთან მარტივად დაკავშირებას და იმავდროულად, წრიული მარშრუტის დაგეგმვას (ქუთაისი-ზუგდიდი-მესტია-ლენტეხი-ქუთაისი), განსხვავებით დღევანდელი ხაზოვანი მარშრუტისგან, რომელიც მოიცავს თბილისი-ქუთაისი-ზუგდიდი მესტიის მარშრუტს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სტრატეგიის მომზადების მომენტისთვის შესაძლებელია უშგულიდან ლენტეხში სამანქანე გზით გადმოსვლა, თუმცა ამისთვის საჭიროა მაღალი გამავლობის სატრანსპორტო საშუალება, რაც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მოგზაურთა რაოდენობაზე ლენტეხის მუნიციპალიტეტში - ზემო სვანეთის მოგზაურთა მხოლოდ დაახლოებით 10% მოდის ლენტეხში და მათი დიდი ნაწილისთვის ლენტეხი არ წარმოადგენს ცალკე მოგზაურობის დანიშნულების ადგილს, არამედ მოკლე გზას ქუთაისის აეროპორტამდე.

---

[21] www.svaneti.org

[22] სვანეთის ტურიზმის განვითარების სტრატეგია და სამოქმედო გეგმა: *I ნაწილი შეფასება და ანალიზი.* ხელმისაწვდომია: https://www.svanetidevelopment.com/_files/ugd/742a8e_ab93f6f974b348e38dba1cc5cce1abed.pdf



შეფასებისა და ანალიზის დოკუმენტში მნიშვნელოვანი საკითხია გამოყოფილი, რაც ლენტეხის მუნიციპალიტეტში ტურიზმის სექტორის განვითარების სტაგნაციაზე მიუთითებს; კერძოდ, 2020-2022 წლებში მესტიაში მოგზაურთათვის საწოლების რაოდენობა 2000-ითაა გაზრდილი, როდესაც ლენტეხში რაოდენობა თითქმის უცვლელი დარჩა. ამასთანავე, ლენტეხის მუნიციპალიტეტში არ არის წარმოდგენილი რაიმე ბრენდირებული სასტუმრო; მუნიციპალიტეტში არის ერთადერთი შედარებით დიდი სასტუმრო „სვანეთი“, რომელიც ზამთრის სეზონზე დაკეტილია. აღსანიშნავია, რომ ლენტეხის მუნიციპალიტეტში არ არის გაზმომარაგება, შესაბამისად, სასტუმროები/საოჯახო ტიპის სასტუმროები დამოკიდებულები არიან ელექტროენერგიასა და შეშაზე და მიუხედავად მთლიანი მუნიციპალიტეტის მაღალმთიანი სტატუსისა, კომერციული ელექტროენერგიის ტარიფზე შეღავათით ვერ სარგებლობენ. იმავდროულად, გამოწვევას წარმოადგენს წყალმომარაგება დაბა ლენტეხის მიღმა და მყარი ნარჩენების მართვა მოასფალტებული გზების მიღმა არსებულ სოფლებში. რაც შეეხება ტურიზმის მხარდამჭერ სერვისებს, მუნიციპალიტეტში სუსტადაა წარმოდგენილი/განვითარებული რაიმე ტიპის მხარდამჭერი სერვისი.

დაბა ლენტეხის ცენტრი ახლო წარსულში იქნა რეაბილიტირებული, ისევე როგორც ერთ-ერთი მჟავე წყლის ტერიტორია დაბა ლენტეხში. მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული შენობის პირველ სართულზე მოწყობილია ტურიზმის განვითარების ცენტრის „ლაილას“ ოფისი. რაც შეეხება სალაშქრო ბილიკებს, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ბილიკები მოწესრიგება-მოწყობის საჭიროებას განიცდიან. იმავდროულად, მუნიციპალიტეტის სალაშქრო მარშრუტებზე არ არის წარმოდგენილი რაიმე ტიპის მთის ქოხი ან/და ღამის გასათევი მოლაშქრეებისთვის.

*ცხრილი #11: ლენტეხის მუნიციპალიტეტის ტურიზმის სექტორის ძირითადი სტატისტიკური მაჩვენებლები*

| | | |
|---|---|---|
| სასტუმრო/სასტუმროს ტიპის დაწესებულების რაოდენობა | საქ. სტატის მიხედვით (2022 წელს) | 7 |
| | Booking (2024 წელს) | 5 |
| ნომრების რაოდენობა სასტუმროებსა და სასტუმროს ტიპის დაწესებულებებში (2022 წლის მონაცემები) | **56** | |
| | ერთ ადგილიანი | 4 |
| | ორადგილიანი | 42 |

| | | |
|---|---|---|
| | სამი ან მეტ ადგილიანი | 10 |
| სასტუმროებში დამსვენებელთა რაოდენობა (2022 წლის მონაცემები) | **193** | |
| | საქართველოდან | 128 |
| | საზღვარგარეთიდან | 65 |
| უცხოელ დამსვენებელთა წარმოშობის ძირითადი ქვეყნები | ევროკავშირის წევრი ქვეყნები | 5 |
| | დსთ-ს ქვეყნები | 60 |
| ვიზიტის მიზანი | რეკრეაცია/დასვენება | 185 |
| | საქმიანი | 8 |
| სასტუმროებში დასაქმებულთა რაოდენობა | **11** | |
| | ქალი | 4 |
| | კაცი | 7 |

## ლენტეხის მუნიციპალიტეტის ტურიზმის სექტორის - SWOT ანალიზი

### ძლიერი მხარეები

- ✓ მუნიციპალიტეტის ხელსაყრელი ადგილმდებარეობა - რომელიც ესაზღვრება ტურისტულად საკმაოდ განვითარებულ ზემო სვანეთს, ლეჩხუმსა და რაჭას
- ✓ სათავგადასავლო, ეკო, სამთო, და სხვა მრავალფეროვანი ტურიზმის მიმართულებების განვითარების მაღალი პოტენციალი
- ✓ მდიდარი ბუნება სხვადასხვა ტიპის მინერალური წყლებით, მთებით, მდინარეებით, მდიდარი კულტურით, კულტურული და ბუნების ძეგლებით, ფოლკორითა და კულინარიით
- ✓ მდიდარი უნიკალური ტრადიციები და კულტურა
- ✓ ტურისტების ადგილობრივი ნატურალური სოფლის მეურნეობის პროდუქტებით გამოკვების პოტენციალი
- ✓ მუნიციპალიტეტში ტურიზმის განვითარების ცენტრის არსებობა

### სუსტი მხარეები

- ✓ მუნიციპალიტეტის უკიდურესად დაბალი ცნობადობა როგორც დანიშნულების ადგილი
- ✓ სვანეთიდან მომავალ ტურისტებში ლენტეხის აღქმა როგორც ტრანზიტული გზა ქუთაისამდე
- ✓ სუსტად განვითარებული ინფრასტრუქტურა
- ✓ ლენტეხში მოგზაურობის მსურველთათვის საინტერესო ინფორმაციის არარსებობა ერთ - ფიზიკურ ან ონლაინ სივრცეში
- ✓ ინტერნეტის დაფარვის არარსებობა ტურისტულად პოპულარულ რიგ ადგილებში
- ✓ ტურისტულ სექტორში კვალიფიციური ადამიანური რესურსების ნაკლებობა
- ✓ ტურისტების განთავსების ადგილების სიმცირე, სეზონურობა და ხარისხი
- ✓ კვების ობიექტების ნაკლებობა
- ✓ სუსტად მარკირებული და მოუწესრიგებელი საფეხმავლო ბოლიკები
- ✓ საფეხმავლო ბილიკებზე ღამის გასათევი ქოხების/ადგილების არარსებობა
- ✓ რიგი მნიშნელოვანი სერვისების დაბალი ხელმისაწვდომობა
- ✓ სამთო-სამაშველო და გზის გამწმენდი ტექნიკის ნაკლებობა
- ✓ მუნიციპალური ტრანსპორტის არარსებობა
- ✓ ლენტეხის განაშენიანების გენერალური გეგმის არარსებობა

## შესაძლებლობები

- ✓ ტურიზმის განვითარება საქართველოში და განსაკუთრებით, სათავგადასავლო ტურიზმის სტრატეგიის არსებობა
- ✓ სვანეთის DMO-ს არსებობა
- ✓ ზემო სვანეთიდან გადმოსასვლელი მოწესრირებული გზა, რომელიც სრულდება 2024 წელს
- ✓ ზემო სვანეთიდან ენგურის გავლით მომავალი გზის მოსალოდნელი დროებით დაკეტვა სარემონტო სამუშაოებისთვის
- ✓ სიახლოვე ქუთაისისა და ამბროლაურის აეროპორტებთან
- ✓ მოგზაურებში უკვე პოპულარულ ადგილთან სიახლოვე - ზემო სვანეთი
- ✓ ტრანსკავკასიური ბილიკის[23] (TCT) სიახლოვე
- ✓ ჩიხარეშის ყოფილი აეროპორტის აღდგენის გეგმა
- ✓ ზესხოს აპლინისტური ბანაკის რეაბილიტაციის გეგმა
- ✓ ლენტეხი-ცაგერის სათხილამურო კურორტის მშენებლობის პერსპექტივა
- ✓ ევროკავშირთან დაახლოება და საქართველოს გაზრდილი ხილვადობა
- ✓ საქართველოს პოპულარიზაცია როგორც სათავგადასავლო ტურიზმისთვის პოპულარული ადგილი

## გამოწვევები

- ✓ ვინაიდან ტურიზმის სექტორი მუნიციპალიტეტში სუსტადაა განვითარებული, მუნიციპალიტეტში ნაკადებთან დაკავშირებულ ამინდს ჰქმნიან მუნიციპალიტეტის გარეთ მყოფი პირები/ორგანიზაციები, რაც დაბალი ცნობადობის პირობებში მოითხოვს მეტ დანახარჯს, რასაც ერიდებიან შემომყვანები
- ✓ ქაოტური მშენებლობების საფრთხე, რომელსაც შეუძლია გამოუსწორებელი ზიანის მიყენება მუნიციპალიტეტის მთავარი სიმდიდრისთვის - ხელუხლებელი ბუნება
- ✓ პირველადი დახმარების გარდა სხვა სამედიცინო დაწესებულებების სიშორე
- ✓ გიდების დაურეგულირებელი მუშაობა, რომელიც შეიცავს რეპუტაციულ რისკებს
- ✓ კლიმატის ცვლილება და ბუნებრივი კატასტროფები
- ✓ სხვა რეგიონების ტურისტულ განვითარებაში მაღალ ინვესტირება ცენტრალური ხელისუფლების მხრიდან, რაც ზღუდავს ხელმისაწვდომ რესურსებს ადგილობრივი განვითარებისთვის
- ✓ ახალგაზრდების მზარდი მიგრაცია მუნიციპალიტეტიდან, რაც უარყოფითად აისახება როგორც სოციალურ სტრუქტურაზე, ასევე ეკონომიკური პოტენციალის რეალიზებაში

[23] https://transcaucasiantrail.org/en/home/

## ტურიზმის სექტორის განვითარებისთვის განსაზღვრული მიზანი და ამოცანები

ლენტეხის მუნიციპალიტეტის ტურიზმის სექტორის განვითარებისთვის ადგილობრივი სამოქმედო სტრატეგიით განსაზღვრული მიზნისა და ამოცანების განისაზღვრისას მხედველობაში იქნა მიღებული როგორც სიტუაციური ანალიზი, ადგილობრივ დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის მეშვეობით გამოვლენილი პრიორიტეტები, ასევე, სვანეთის DMO-ს მიერ შემუშავებული სვანეთის ტურიზმის განვითარების სტრატეგია და სამოქმედო გეგმა[24].

ტურიზმის მიმართულების მიზნად განისაზღვრა:

**ტურიზმის სექტორის წილის გაზრდა ლენტეხის მუნიციპალიტეტის ეკონომიკაში**

ტურიზმის სექტორს აქვს ლენტეხის ეკონომიკაში მნიშვნელოვანი წვლილის შეტანის პოტენციალი, რომელსაც დადებითი გავლენის მოხდენა შეუძლია მუნიციპალიტეტის განვითარებაზე და მისი მოსახლეობის ცხოვრების დონის გაუმჯობესებაზე. SWOT ანალიზის შედეგად გამოიკვეთა ის საკითხები, რომლებზეც მიმართული უნდა იყოს ძალისხმევა შესაძლებლობების მაქსიმალურად გამოყენებისთვის. ეს საკითხები დაჯგუფდა ოთხ ძირითად მიმართულებად:

- ✓ მუნიციპალიტეტის ცნობადობა და პოპულარიზაცია, როგორც ტურისტული დანიშნულების ადგილი
- ✓ ტურისტული პროდუქტების დივერსიფიკაცია, პოტენციალის მაქსიმალურად ასათვისებლად
- ✓ ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარება, ტურიზმის სექტორის მხარდასაჭერად
- ✓ ტურიზმის სექტორში მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერა სექტორისა და მუნიციპალიტეტის მდგრადი განვითარებისთვის

[24] სვანეთის ტურიზმის განვითარების სტრატეგია და სამოქმედო გეგმა. ხელმისაწვდომია: https://www.svanetidevelopment.com/_files/ugd/742a8e_713da895341a45e69dd42380473ce7ef.pdf



## სოფლის მეურნეობის განვითარება

### სოფლის მეურნეობა რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის მხარეში

რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის მხარე ძირითადად ტყით დაფარულ მაღალმთიან ტერიტორიას მოიცავს. მიუხედავად იმისა, რომ სოფლის მეურნეობაზე მოდის რეგიონის ეკონომიკის ძირითადი წილი, ეს მიმართულება საკმაოდ სუსტადაა განვითარებული. რეგიონი მცირემიწიანია და, ამასთანავე, საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთები - პატარა ზომის, რაც განაპირობებს იმას, რომ სოფლის მეურნეობის განვითარების მაჩვენებელი საკმაოდ სუსტია. აღსანიშნავია, რომ რეგიონში სოფლის მეურნეობის მექანიზაცია საკმაოდ სუსტადაა განვითარებული, რაც დიდწილად განპირობებულია მცირემიწიანობით.

სოფლის მეურნეობის დიდი წილი მოდის მემცენარეობასა და მეცხოველეობაზე, და ამასთანავე, გარდა ღვინის წარმოებისა, ძირითადად ატარებს პირველადი წარმოების ხასიათს.

*ცხრილი #12: რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის სოფლის მეურნეობის ძირითადი სტატისტიკური მონაცემები*[25]

| მემცენარეობა | | მეცხოველეობა (2022) | |
|---|---|---|---|
| **ერთწლიანი კულტურები** | **ჯამური მოსავლიანობა (2022)** | **პირუტყვი/ფრინველი** | **რაოდენობა** |
| სიმინდი | 0.7 ტონა | მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი | 13 700 სული |
| ლობიო | 0.1 ტონა | ყველა სახის ფრინველი | 38 300 ფრთა |
| ბოსტნეული | 0.6 ტონა | **მეცხოველეობის პროდუქტები** | |
| **მრავალწლიანი კულტურები** | | ხორცი | 1 900 ტონა |
| თესლოვანი ხილი | 1 200 ტონა | რძე | 6.3 მლნ. ლიტრი |
| კურკოვანი ხილი | 400 ტონა | კვერცხი | 2.5 მლნ. ცალი |

[25] საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. *რეგიონების სტატისტიკა.* ხელმისაწვდომია: https://regions.geostat.ge/regions/racha.php?lang=ka

| | |
|---|---|
| კაკლოვანი ხილი | 400 ტონა |
| ყურძენი | 3 700 ტონა |

აღსანიშნავია, რომ რეგიონში უკანასკნელი ექვსი წლის მანძილზე ერთწლიანი კულტურების ნათესების ფართობები თითქმის უცვლელია, თუმცა მოსავლიანობა თითქმის განახევრებულია. ამავე პერიოდში მრავალწლიანი კულტურების მოსავლიანობის მნიშვნელოვანი მატება აღინიშნება - თესლოვანი ხილი 140%ა, კურკოვანი ხილი - 100%, კაკლოვანი ხილი - 100%, ყურძენი - 25%. რაც შეეხება პირუტყვსა და ფრინველს, უკანასკნელი ექვსი წლის მანძილზე მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის რაოდენობა 35%-ით არის შემცირებული (რომლის ნახევარიც მოდის ფურსა და ფურ-კამეჩზე), ხოლო ფრინველის - 27%-ით. შედეგად, ამავე პერიოდში გაზრდილია მსხვილფეხა პირუტყვის ხორცპროდუქტების წარმოება, თუმცა 11%-ითაა შემცირებული რძის წარმოება. აღსანიშნავია, რომ ფრინველების რაოდენის კლების მიუხედავად, კვერცხის წარმოება 36%-ითაა გაზრდილი.

რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის მხარეზე საუბრისას მნიშვნელოვანია, ყურადღება გამახვილდეს მევენახეობაზე, როგორც რეგიონში სოფლის მეურნეობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიმართულებაზე. საქართველოს მევენახეობით ცნობილი სხვა რეგიონებისგან განსხვავებით, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის მხარე გამოირჩევა ვენახების სიმცირითა და იშვიათი ჯიშის ყურძნით. რეგიონი მოქცეულია შუამთის მევენახეობის სარტყელში, რომელიც მოიცავს ბუნებრივად ტკბილი ღვინოების ქვესარტყელს. აქ გავრცელებულია ყურძნის ისეთი ჯიშები, როგორიცაა ალექსანდროული, მუჯურეთული, ცოლიკოური, წულუკიძის თეთრა, ძელშავი, უსახელოური და ორბელური. ქვემო რაჭის მევენახეობის ყველაზე მნიშვნელოვან მიკროზონას წარმოადგენს ხვანჭკარის მიკროზონა, ხოლო ლეჩხუმში - ცაგერის, ორბელის, ალპანა-ტვიშისა და ზუბი-ოყურეშის მიკროზონები. რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონიდანაა ისეთი ღვინოები, როგორიცაა ოსახელოური, ორბელის ოჯალეში და ადგილწარმოშობის ღვინოები - ხვანჭკარა და ტვიში.[26]

აღსანიშნავია, რომ რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის მხარეს ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების ყველაზე დაბალი მაჩვენებელი აქვს საქართველოს მასშტაბით და სულ ქვეყნის მასშტაბით ჯამური წარმოქმნილი მავნე ნივთიერებების 0.06% (500 ტონა) მოდიოდა რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის მხარეზე 2015 წელს; აქედან 80% დაჭერა მოხდა, ხოლო 20%

[26] ღვინის ეროვნული სააგენტო. ხელმისაწვდომია: https://wine.gov.ge/Ge/WineMakingRegions/4



გაფრქვეული იყო ატმოსფეროში. 2020 წლის მონაცემებით ეს მაჩვენებელი კიდევ უფრო შემცირებულია როგორც თავად მხარეში, ასევე ქვეყანაში დაბინძურების გაზრდილ მაჩვენებელთან მიმართებით 0.03% (300 ტონა), საიდანაც დაჭერილია 67%, ხოლო 33% გაფრქვეულია ჰაერში, რაც 6-ჯერ ჩამოუვარდება მეორე ადგილზე მდგომ აჭარის ა/რ.

## სოფლის მეურნეობა ლენტეხის მუნიციპალიტეტში

ლენტეხის მუნიციპალიტეტისთვის, ისევე, როგორც მთლიანად რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის მხარისთვის დამახასიათებელია მცირემიწიანობა, რაც გარკვეულ გამოწვევას წარმოადგენს სოფლის მეურნეობის განვითარებისთვის. თუმცა, აქვე აღსანიშნავია, რომ მუნიციპალიტეტში ჰაერისა და ნიადაგის დაბინძურების მაჩვენებელი საკმაოდ დაბალია და შესაბამისად, ეს გარკვეულ უპირატესობას წარმოადგენს სოფლის მეურნეობის განვითარებისთვის. აქვე აღსანიშნავია, რომ სოფლის მეურნეობა ტრადიციულ დარგს წარმოადგენს ქვემო სვანეთისთვის და მისი კლიმატური პირობები განაპირობებს ადგილზე მოწეული პროდუქციის განსაკუთრებულ საგემოვნო თვისებებს.

2014 წლის საყოველთაო აღწერის მონაცემებით ლენტეხის მუნიციპალიტეტში სარგებლობაში მყოფი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა შეადგენდა 464 ჰექტარს, რომლის უდიდესი წილი მოდიოდა საკუთრებაში არსებულ მიწებზე და ყველაზე დაბალ მაჩვენებელს წარმოადგენდა რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის მხარეში.

*ცხრილი #13: ლენტეხის მუნიციპალიტეტის სოფლის მეურნეობის ძირითადი სტატისტიკური მაჩვენებლები (2014 წლის საყოველთაო აღწერის მონაცემებსა და 2020 წლის პრიორიტეტების დოკუმენტზე დაყრდნობით)*

| მემცენარეობა | | მეცხოველეობა | |
|---|---|---|---|
| ხეხილის ბაღები (2014) | 1 ჰექტარი | მსხვილფეხა პირუტყვი (2021) | 8 738 სული[27] |

[27] ლენტეხის მუნიციპალიტეტის 2023-2025 წლის პრიორიტეტების დოკუმენტი.

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ნაყოფისმომცემი ხეების რაოდენობა (2014) | | 16 100 ძირი | ცხვარი და თხა (2021) | | 432 სული[28] |
| ხეხილის ძირითადი კულტურები (2014) | ვაშლი | 5 500 ძირი | ღორი (2021) | | 500 სული[29] |
| | მსხალი | 2 100 ძირი | | | |
| | ქლიავი, ღოღნაშო & ჭანჭური | 2 100 ძირი | | | |
| | ალუბალი | 500 ძირი | | | |
| ერთწლიანი კულტურები | | მოსავლიანობა | ყველა სახის ფრინველი (2021) | | 10 000 ფრთა[30] |
| სიმინდი (2021) | | 1 800 ტონა[31] | ფუტკარი | ოჯახების რაოდენობა [32] | წარმოებული თაფლის რაოდენობა |
| ლობიო (2021) | | 28 ტონა[33] | | 2 000 | 45 ტონა |
| კარტოფილი (2021) | | 4 850 ტონა[34] | | | |

ზემოხსენებულ მონაცემებთან დაკავშირებით აღსანიშნავია, რომ მრავალწლიანი ნაყოფისმომცემი კულტურების კუთხით, ლენტეხის მუნიციპალიტეტში ნაკლებადაა წარმოდგენილი ორგანიზებული ბაღები, არამედ, ძირითადად გვხვდება ცალკე მდგომი ხეები - 16100 არსებული ძირიდან, მხოლოდ 2.5% ორგანიზებული ბაღების ფორმითაა წარმოდგენილი, ხოლო 97.5% მოდის ბაღებში ცალკე მდგომ ძირებზე. ამ საკითხთან

[28] იქვე
[29] იქვე
[30] იქვე
[31] იქვე
[32] იქვე.
[33] იქვე
[34] იქვე

მიმართებით, ასევე, აღსანიშნავია, რომ მუნიციპალიტეტში არ არის წარმოდგენილი ხილის გადამამუშავებელი რაიმე საწარმო და შესაბამისად, მოწეული პროდუქტები ძირითადად პირველადი წარმოების პროდუქციას განეკუთვნება.

მეფუტკრეობის მიმართულებით, 2021 წელს პროექტი GRETA-ს მიერ ჩატარდა ორგანული სოფლის მეურნეობის მიზანშეწონილობისა და ბაზრის პოტენციალის კვლევა.[35] კვლევამ, სხვა მუნიციპალიტეტებთან ერთად, მოიცვა ლენტეხის მუნიციპალიტეტიც. კვლევის თანახმად, ლენტეხის მუნიციპალიტეტში სოფლის მეურნეობაში ყველაზე რეალიზებული შემდეგი მიმართულებებია:

- ✓ თაფლი
- ✓ ჩირი
- ✓ მარწყვი
- ✓ ჟოლო
- ✓ რძე
- ✓ საქონლის ხორცი
- ✓ ყველი
- ✓ კარტოფილი

ამავე დოკუმენტის თანახმად, ორგანული წარმოების კუთხით შემდეგი მიმართულებებია საინტერესო:

*ცხრილი #14: ლენტეხის მუნიციპალიტეტში ორგანული წარმოებისთვის საინტერესო მიმართულებები*

| დარგი | პროდუქტები |
|---|---|
| მეფუტკრეობა | თაფლი |
| მევენახეობა | ღვინო |
| ველური ბალახები | სხვადსხვა სამკურნალო თვისებების მქონე ველური ბალახები |
| ჩირის წარმოება | სხვადსხვა ხილის ჩირის წარმოება |

[35] GRETA. *ორგანული სოფლის მეურნეობის მიზანშეწონილობისა და ბაზრის პოტენციალის კვლევა.* ხელმისაწვდომია: https://gretaproject.ge/storage/files/oa-market-potential-and-feasibil-4.pdf



| | |
|---|---|
| კენკროვანი ხილის წარმოება | ჟოლო |
| მეცხოველეობა | რძე, ყველი ან ხორცი |
| სოკოს წარმოება | სხვადსხვა სახეობის ტყის სოკო |
| კარტოფილი და ბოსტნეული | კარტოფილი და ლობიო |
| თხილეულის წარმოება | თხილი და კაკალი |
| თესლოვანი და კურკოვანი ხილის წარმოება | ვაშლი, მსხალი, კომში, ატამი, ქლიავი, ტყემალი |
| სუბტროპიკული მცენარეები | ხურმა |
| მარცვლოვანი კულტურები | სიმინდი |

აღსანიშნავია, რომ 2014 წლის საყოველთაო აღწერის მონაცემებით, სოფლის მეურნეობის პროდუქციის ძირითადი დანიშნულება იყო შინამეურნეობის მიერ მისი მოხმარება - სოფლის მეურნეობით დაკავებული შინამეურნეობების 95%-დან მხოლოდ 4% აწარმოებდა პროდუქციას შემდგომი რეალიზაციის მიზნით, ხოლო 1% საერთოდ არ აწარმოებდა სოფლის მეურნეობის პროდუქციას.

## ლენტეხის მუნიციპალიტეტში სოფლის მეურნეობის SWOT ანალიზი

### ძლიერი მხარეები

- ✓ ბიოწარმოებისთვის ხელსაყრელი გარემო, ვინაიდან ნიადაგის ქიმიური საშუალებებით დაბინძურების მაჩვენებელი საკმაოდ დაბალია
- ✓ უნიკალური პროდუქტები - რომლებიც ან მხოლოდ ადგილზეა, ან ლენტეხში მოწეულ პროდუქტებს აქვთ უნიკალური საგემოვნო თვისებები
- ✓ განვითარებული უნიკალური თაფლის წარმოება
- ✓ დისტრიბუციის განვითარებული ქსელი
- ✓ პროდუქციის რეალიზაციისთვის (თაფლის შემთხვევაში) ონლაინ არხების გამოყენების დადებითი გამოცდილება
- ✓ ხეხილის მოყვანის დიდი ხნის გამოცდილება

### სუსტი მხარეები

- ✓ მცირემიწიანობა
- ✓ ადამიანური რესურსების ნაკლებობა - რაოდენობრა და კვალიფიკაცია
- ✓ ბიო და ორგანული წარმოების შესახებ ცოდნის ნაკლებობა
- ✓ კოოპერატივების/გაერთიანების ფორმით ეფექტური მუშაობის გამოცდილების ნაკლებობა/უარყოფითი გამოცდილება
- ✓ პროდუქციის გასაღების ბაზრებთან წვდომის პრობლემა შუამავლის გარეშე
- ✓ ხეხილის ბაღების შემთხვევაში - ძველი ნარგავები, ორგანიზებული ბაღების ნაკლებობა
- ✓ მსხვილფეხა საქონლის (მიუხედავად ეკოლოგიურად სუფთა გარემოსი) ხორცის გასაღების პრობლემა, ვინაიდან ხორცი მაგარია
- ✓ არასტაბილური მოთხოვნა სოფლის მეურნეობის პროდუქტებზე
- ✓ სოფლის მეურნეობის პროდუქტების სიმწირე - ხალხი შეეშვა მეცხოველეობას
- ✓ სოფლის მეურნეობის მხარდამჭერი სერვისების (მაგ. აგრო პროდუქციის რეალიზაციის პუნქტები) ადგილზე არარსებობა
- ✓ სოფლის მეურნეობაში თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენების ნაკლებობა

- ✓ ლენტეხის მუნიციპალიტეტის ცალკე იდენტობა დაკარგულია და გაიგივებულია რაჭასთან
- ✓ ადგილზე სოფლის მეურნეობის ლაბორატორიების არარსებობა
- ✓ ფინანსებზე წვდომის ნაკლებობა
- ✓ Red lining - ბიზნესებისთვის არამიმზიდველი სიტუაციიდან გამომდინარე, ადგილზე ძალიან ცოტა ბიზნეს ოპერატორია

## შესაძლებლობები

- ✓ ქვეყანაში ბიო პროდუქტებზე მოთხოვნის ზრდა და ბიო პროდუქტების შედარებით მაღალი საბაზრო ღირებულება
- ✓ სოფლის მეურნეობის მხარდამჭერი სხვადასხვა პროექტები და პროგრამები, რომლითაც შესაძლებელია ადამიანების გადამზადება, საწყისი ან/და განვითარებისთვის კაპიტალის მოზიდვა
- ✓ საერთაშორისო ბაზრებზე გაზრდილი წვდომა
- ✓ საქართველოში მოწეული ორგანული პროდუქციის სიმწირე ადგილობრივ ბაზარზე, რაც ქმნის ორგანული ნიშური პროდუქციის წარმოება-რეალიზაციისთვის ხელსაყრელ პირობებს

## გამოწვევები

- ✓ სოფლის მეურნეობის პროდუქციის გასაღების ბაზრებთან წვდომის მონოპოლიზაცია შუამავლების მიერ, რაც ადგილობრივებს ნაკლები სარგებლის მიღების შესაძლებლობას უტოვებს
- ✓ მაღალი კონკურენცია როგორც შიდა, ასევე გარე ბაზარზე
- ✓ პროდუქციის ფალსიფიკაცია და სხვა მხარეში/ქვეყანაში მოწეული პროდუქციის გასაღება ლენტეხში მოწეულ პროდუქციად - მაგალითად, თურქეთიდან შემოსული კარტოფილი, რომელიც ფასით უფრო კონკურენტულია და მისი გასაღება ხდება როგორც სვანური კარტოფილის
- ✓ საძოვრებისა და სასოფლო სამეურნეო დანიშულების მიწების სტატუსის შეცვლა და სხვა დანიშნულებით გამოყენება, რაც შეამცირებს ისედაც მცირემიწიანი მუნიციპალიტეტის წვდომას სასოფლო-სამეურნეო მიწებზე
- ✓ ბუნებრივი კატასტროფები და კლიმატის ცვლილება

## სოფლის მეურნეობის სექტორის განვითარებისთვის განსაზღვრული მიზანი და ამოცანები

### *მოკლე შეჯამება*

გამომდინარე ლენტეხის მუნიციპალიტეტისთვის დამახასიათებელი რიგი ბუნებრივი შეზღუდვებიდან, ლენტეხის მუნიციპალიტეტში სოფლის მეურნეობის სექტორის განვითარება ნაკლებად შეიძლება დაეფუძნოს დიდ მასშტაბებს, არამედ ხარისხსა და ეკოლოგიურად სუფთა ნიშური პროდუქციის წარმოებას. თუმცა, ხელშემწყობ ფაქტორებთან ერთად, სტრატეგიის მომზადების პერიოდისთვის საკმაოდაა სისუსტეები, რომლებთან გამკლავებაც აუცილებელია ადგილობრივ და საერთაშორისო ბაზარზე არსებული შესაძლებლობების გამოსაყენებლად. შესაბამისად, ლენტეხის მუნიციპალიტეტში სოფლის მეურნეობის სექტორის განვითარებისთვის ადგილობრივი სამოქმედო სტრატეგიით განსაზღვრული იქნა შემდეგი მიზანი:

**სოფლის მეურნეობის ეკონომიკური სარგებლიანობის გაზრდა ეკო-მიმართულებაზე ორიენტაციით**

ამ მიზნის მისაღწევად, მუნიციპალიტეტის არსებული ძლიერი მხარეებისა და შესაძლებლობების გამოყენებით, განისაზღვრა შემდეგი ორი ძირითადი მიმართულება, რომელზეც ფოკუსირდება წინამდებარე სტრატეგია:

- ✓ მუნიციპალიტეტის ცნობადობის გაზრდა და სტატუსის შენარჩუნება როგორც ნატურალური და ბიოლოგიურად სუფთა სოფლის მეურნეობის პროდუქციის მწარმოებელი ადგილი
- ✓ სოფლის მეურნეობის მიმართულებით მდგრადი და ეკო-მეგობრული მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარება

# მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარება

## მცირე და საშუალო ბიზნესი ლენტეხის მუნიციპალიტეტში

ლენტეხის მუნიციპალიტეტში ეკონომიკური საქმიანობა, ზოგადად, სუსტადაა განვითარებული და ნაკლებად დივერსიფიცირებულია. მუნიციპალიტეტში არ არის წარმოდგენილი რაიმე მსხვილი ბიზნესი, ხოლო არსებულ მცირე და საშუალო ბიზნესებთან მიმართებით შემდეგი სურათი იკვეთება.

*ცხრილი #15: ლენტეხის მუნიციპალიტეტში მცირე და საშუალო ბიზნესის ძირითადი მაჩვენებლები*[36]

| | | |
|---|---|---|
| მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ სუბიექტთა რაოდენობა (2022 წ) | **სულ** | **1 367** |
| | კერძო სუბიექტების % | 98% |
| | საჯარო სუბიექტების წილი | 2% |
| მუნიციპალიტეტში მოქმედ სუბიექტთა რაოდენობა (2022 წ) | **სულ** | **328** |
| | კერძო | 94.8% |
| | საჯარო | 5.2% |
| მუნიციპალიტეტში 2022 წელს რეგისტრირებულ სუბიექტთა რაოდენობა | **სულ** | **103** |
| | კერძო ადგილობრივი საკუთრება | 100% |
| | კერძო უცხოური საკუთრება | 0% |
| | შერეული კერძო საკუთრები | 0% |

[36] საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. *რეგიონული სტატისტიკა*. ხელმისაწვდომია: https://regions.geostat.ge/regions/racha/cageri.php?lang=ka



| | | |
|---|---|---|
| | უცხოეთის უპირატესობით | |
| 2010 - 2022 წლებში რეგისტრირებულ სუბიექტთა რიცხვის საშუალო წლიური ზრდა | ყველა ტიპის სუბიექტისთვის | 6.9% |
| | კერძო საკუთრებაში მყოფი სუბიექტებისთვის | 7.2% |
| 2012 - 2022 წლებში მოქმედ სუბიექტთა რიცხვის საშუალო წლიური ზრდა | ყველა ტიპის სუბიექტისთვის | 8% |
| | კერძო საკუთრებაში მყოფი სუბიექტებისთვის | 9.4% |
| 2010 - 2022 წლებში ახლადრეგისტრირებულ სუბიექტთა რიცხვის საშუალო წლიური ზრდა | 2% | |

აღსანიშნავია, რომ 2022 წელს მოქმედ სუბიექტთაგან, რომლებიც კერძო სექტორს წარმოადგენენ, 87.1% წარმოადგენს მცირე ბიზნესს, რომელთა აბსოლუტური უმრავლესობა არის ადგილობრივ საკუთრებაში. 2022 წელს ლენტეხის მუნიციპალიტეტში წარმოებული პროდუქციის ღირებულებამ შეადგინა 25.1 მილიონი ლარი, რაც 39.4% ზრდას წარმოადგენს 2021 წელთან შედარებით. ამასთანავე, აღსანიშნავია, რომ 2014 წლიდან 2022 წლამდე ლენტეხის მუნიციპალიტეტში წარმოებული პროდუქციის ღირებულების საშუალო წლიური ზრდა შეადგენდა 30%.

ლენტეხის მუნიციპალიტეტში მთავარ დამსაქმებელს წარმოადგენს საჯარო სექტორი, ხოლო კერძო სექტორში დასაქმებულ პირთა რაოდენობა დაბალია - 399 პირი 2022 წლის მონაცემებით, რომელთა საშუალო ყოველთვიური ანაზღაურება შეადგენს 625 ლარს[37]. ამასთანავე, უნდა აღინიშნოს, რომ მუნიციპალიტეტში კერძო სექტორში დასაქმებულთა რიცხვის მნიშვნელოვანი ზრდა არ მომხდარა 2014 წლიდან და ამასთანავე, დასაქმებულთა ანაზღაურება 2017 წლის მონაცემებთან შედარებით შემცირებულია 760-დან 625 ლარამდე.

[37] საქართველოს სტატიტიკის ეროვნული სამსახური. *რეგიონების სტატისტიკა.* ხელმისაწვდომია: https://regions.geostat.ge/regions/racha/cageri.php?lang=ka



2023 წელს ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის „მთიანი საქართველოს ახალი სიცოცხლე“ (ENPARD 4) ფარგლებში ჩატარებული გამოკითხვის ზოგადი სურათიც თანხვედრაშია ამ მაჩვენებელთან, სადაც ლენტეხის მუნიციპალიტეტის გამოკითხულთა (140 პირი) 48.6% საჯარო სექტორში დასაქმებულ პირს წარმოადგენდა, 40.7% - პენსიონერს, უმუშევარსა და სტუდენტს, ხოლო 10.7% - კერძო სექტორში დასქმებულ ან/და თვითდასაქმებულ პირს.

ეკონომიკური საქმიანობის სახეობების მხრივ კერძო სექტორში გავრცელებულია საბითუმო და საცალო ვაჭრობა (83 სუბიექტი), გადამამუშავებელი მრეწველობა (15 სუბიექტი), განთავსების საშალებებით უზრუნველყოფისა და საკვების მიწოდების საქმიანობები (11 სუბიექტი), სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობა (8 სუბიექტი).

ლენტეხის მუნიციპალიტეტში მცირე და საშუალო მეწარმეობასთან დაკავშირებით საინტერესო ინფორმაციას იძლევა 2023 წელს ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის „მთიანი საქართველოს ახალი სიცოცხლე“ (ENPARD 4) ფარგლებში, ლენტეხის მუნიციპალიტეტში ჩატარებული გამოკითხვა. აღსანიშნავია, რომ რესპონდენტთა 85.7% მიუთითებდა, რომ არასდროს უფიქრიათ ბიზნესის წამოწყება, 4.3% - დაუწყია, მაგრამ წარუმატებელი აღმოჩნდა მცდელობა, ხოლო 9.3% - უფიქრია, თუმცა გაუჭირდა გადაწყვეტილების მიღება. ამასთანავე, რესპონდენტთა 21.4% მიუთითებდა, რომ მუნიციპალიტეტში ბიზნესის კეთება ძალიან რთულია. ბიზნესის დაწყების სამ ძირითად ბარიერს წარმოადგენს - საწყისი კაპიტალის არქონა (რესპონდენტთა 21.4%), ბიზნესის კეთების სურვილის არქონა (რესპონდენტთა 21%), არასამართლიანი ბიზნეს გარემო (5%), არასაკმარისი ცოდნა (რესპონდენტთა 4.3%) და მაღალ გადასახადები/მაღალი საპროცენტო განაკვეთი (2.1%). რაც შეეხება კაპიტალის ხელმისაწვდომობას, კვლევა დაინტერესდა ჰქონდათ თუ არა რესპონდენტებს საგრანტო კონკურსებში მონაწილეობის გამოცდილება, რის შედეგადაც აღმოჩნდა, რომ მათ უმრავლესობას (82.9%) კონკურსში მონაწილეობა არ მიუღია, ხოლო მათგან ვისაც მიუღია, აბსოლუტური უმრავლესობის გამოცდილება უკავშირდებოდა სახელმწიფო საგრანტო პროგრამებში მონაწილეობას. მათ შემთხვევაში, ვისაც მონაწილეობა არ მიუღია, მიზეზები ასე გამოიყურებოდა:

*დიაგრამა #2: კვლევით გამოვლენილი საგრანტო კონკურსებში მონაწილეობის არ-მიღების მიზეზები*




შეჯამების სახით უნდა ითქვას, რომ მცირე და საშუალო მეწარმეობა სუსტადაა განვითარებული ლენტეხის მუნიციპალიტეტში და არადივერსიფიცირებულია. ის საქმიანობები, რომლებიც არის წარმოდგენილი, ძირითადად, სეზონური ბიზნესებია, კონცენტრირებული პირველად წარმოებაზე. ამის მიზეზი მრავალი შეიძლება იყოს, თუმცა, მოსახლეობის გამოკითხვის შედეგად ძირითადად იკვეთება საწყის კაპიტალთან წვდომის პრობლემები, მეწარმოების მიმართ ნაკლები ინტერესი, შესაბამისი ცოდნის, უნარებისა და იდეების დეფიციტი. ამასთანავე, უნდა აღინიშნოს, რომ იმ პირებიდან, ვისაც არადროს უფიქრია ბიზნესის კეთებაზე, 22.1% წარმოადგენდნენ 45 წლამდე პირებს.

## ლენტეხის მუნიციპალიტეტში მცირე და საშუალო ბიზნესის SWOT ანალიზი

### ძლიერი მხარეები

- ✓ გრანტებით დაფინანსების მიღების გამოცდილება ადგილობრივ მოსახლეობაში
- ✓ მოსახლეობის ნაწილში მოტივაცია, დაიწყონ და განავითარონ ადგილზე ბიზნესი

### სუსტი მხარეები

- ✓ ადგილზე ფინანსური ინსტიტუტების ნაკლებობა
- ✓ მაღალი საპროცენტო განაკვეთი და არანაირი შეღავათი საპროცენტო განაკვეთებზე
- ✓ არადივერსიფიცირებული ფინანსური რესურსები ბიზნესის დასაწყებად/განვითარებისთვის
- ✓ საგრანტო კონკურსების შესახებ ინფორმაციის დაგვიანებით მიღება
- ✓ მეწარმეობის სულისკვეთებისა და სურვილის ნაკლებობა მოსახლეობაში
- ✓ ბიზნესის საკონსულტაციო სერვისების არარსებობა მუნიციპალიტეტში
- ✓ ბიზნესის კეთებისთვის მხარდამჭერი სერვისებისა და პროდუქტების ადგილზე არარსებობა
- ✓ განუვითარებელი შიდამუნიციპალური ინფრასტრუქტურა
- ✓ მოსახლეობის სიმცირე
- ✓ ადგილზე კვალიფიციური კადრების ნაკლებობა
- ✓ არსებული ადგილობრივი ბიზნესების ერთმანეთთან დაუკავშირებლობა ჯაჭვური სარგებლის მისაღებად
- ✓ გაზიფიცირების არარსებობა და მაღალი დამოკიდებულება ელექტროენერგიაზე,

ამასთანავე, განახლებადი ენერგიის წყაროების არარსებობა მუნიციპალიტეტში

- ✓ გეოგრაფიული დაშორება მაღალგადახდისუნარიან ბაზართან
- ✓ კოოპერატივების ცუდი გამოცდილება - კოოპერატივები იქმნება იმიტომ, რომ რაიმე გრანტით ისარგებლონ და არა იმიტომ, რომ რეალურად ერთობლივად მუშაობა შეუძლიათ; მას შემდეგ რაც საგრანტოს პირობებს დააკმაყოფილებენ, იშლებიან და ცალ-ცალკე აგრძელებენ მუშაობას
- ✓ მუნიციპალიტეტში გადამამუშავებელი მრეწველობა არ არის განვითარებული
- ✓ უჭირთ ქსელებთან წვდომა - ადგილობრივებმა არ იციან, როგორ მოახდინონ თავიანთი პროდუქციის პოზიციონირება
- ✓ ნაკლები მოტივაცია ბიზნესის განვითარებისთვის - აწარმოებენ იმდენს, რამდენსაც ყიდიან და წარმოების გაზრდაზე არ უფიქრიათ
- ✓ ფინანსების ნაკლებობის გამო დანადგარებს ვერ ყიდულობენ

### შესაძლებლობები

- ✓ განახლებადი ენერგიის შესაძლებლობები დენზე მზარდი მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად
- ✓ სხვადასხვა საგრანტო და ტრენინგ პროგრამები მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარებისთვის
- ✓ მუნიციპალიტეტში უძრავ ქონებაზე შედარებით დაბალი ფასები

### გამოწვევები

- ✓ მცდარი წარმოდგენების შექმნა და სწორი გათვლების ვერ-გაკეთება საქმიანობის დაწყებისას მოცემულ მომენტში ბიზნეს სექტორში დაქირავებულთა დაბალი ანაზღაურების გამო
- ✓ მაღალი კონკურენცია როგორც ადგილობრივ, ასევე, საერთაშორისო ბაზარზე
- ✓ კლიმატური ცვლილებებისგან გამოწვეული ბუნებრივი კატასტროფები

## მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებისთვის განსაზღვრული მიზანი და ამოცანები

### *შეჯამება*

მცირე და საშუალო ბიზნესის დივერსიფიცირება და განვითარება უდიდესი მნიშვნელობის მატარებელია ადგილობრივი განვითარებისა და მოსახლეობის ცხოვრების ხარისხის გასაუმჯობესებლად. ამასთანავე, ის წარმოადგენს ერთ-ერთ არსებით ინსტრუმენტს მუნიციპალიტეტში შესაძლებლობების შესაქმნელად და მოსახლეობის, განსაკუთრებით კი - ახალგაზრდების გადინების შესანელებლად. აქვე, აღსანიშნავია, რომ სტრატეგიის მომზადების მომენტისთვის ლენტეხის მუნიციპალიტეტში მცირე და საშუალო ბიზნესი ნაკლებად დივერსიფიცირებულია, რაც ქმნის დამოკიდებულებას კონკრეტულ სექტორებზე და ამასთანავე, არ იძლევა მრავალფეროვანი შესაძლებლობების შექმნისთვის საჭირო გარემოს. შესაბამისად, ამ მიმართულებისთვის SWOT ანალიზისა და სტრატეგიული ხედვის გათვალისწინებით შემდეგი მიზანი იქნა განსაზღვრული:

**ლენტეხის მუნიციპალიტეტში ბიზნეს სექტორში მრავალფეროვანი შესაძლებლობების შექმნა და შეზღუდულ მიმართულებებზე დამოკიდებულების შემცირება.**

# სპორტი, კულტურა, განათლება და ახალგაზრდობა

## ლენტეხის მუნიციპალიტეტის მიმოხილვა

### *სპორტი*

ლენტეხის მუნიციპალიტეტში სპორტის რამდენიმე სახეობაა საკმაოდ პოპულარული და მუნიციპალიტეტის მკვიდრებს მრავალი წარმატებისთვის აქვთ მიღწეული ადგილობრივ და საერთაშორისო სპორტულ შეჯიბრებებზე. მუნიციპალიტეტში მოქმედებს ორი ძირითადი სპორტული დაწესებულება:

(1) ლენტეხის სასპორტო სკოლების გაერთიანება, რომელშიც შედის ლენტეხის მუნიციპალიტეტში მდებარე სპორტული სკოლები
- კომპლექსური სასპორტო სკოლა
- ალპინიზმისა და სამთო-სამაშველო სპორტული სკოლა
- სპორტული სკოლა „ლაშხეთი“
- საფეხბურთო კლუბი

სპორტულ სკოლებში ხელმისაწვდომია სპორტის შემდეგი სახეობები: ქართული ჭიდაობა, ძიუდო, სამბო, მეკლდეურობა, ფრენბურთი და ფეხბურთი.

(2) ოლეგ ლიპარტელიანის სახელობის ლენტეხის ოლიმპიური მომზადების ცენტრი, რომელშიც ფუნქციონირებს რაგბისა და მკლავჭიდის სექციები.

აქვე აღსანიშნავია, რომ 2024 წელს ლენტეხის მუნიციპალიტეტში სრულდება სპორტის სასახლის მშენებლობა. გარდა სპორტული სკოლებისა, მუნიციპალიტეტში, ასევე, ფუნქციონირებს 24 მინი სტადიონი, რომელიც ფარავს ყველა დასახლებულ პუნქტს. ამასთანავე, მუნიციპაილტეტში ყოველწლიურად ტარდება სპორტული ღონისძიებები მუნიციპალიტეტის ახალგაზრდობისთვის.

სტრარტეგიის მომზადების პროცესში ახალგაზრდებთან ჩატარებული შეხვედრისას გამოიკვეთა რიგი წუხილები, რომლებიც მათ აქვთ სპორტულ ინფრასტრუქტურასთან დაკავშირებით: რიგ შემთხვევებში უსაფრთხოების პრობლემა, როდესაც სტადიონებს არ აქვთ

ღობე და ბურთი ბავშვებს უვარდებათ მდინარეში, პედაგოგების შედარებით მაღალი ასაკი და ახალგაზრდა პედაგოგების ნაკლებობა, რიგ სპორტულ მიმართულებებში - მაგ. ჭადრაკი, ადგილზე მასწავლებლების არარსებობა, გარდა პროფესიული სპორტისა, სხვა ტიპის სპორტული ინტერესების (მაგ. ცურვა) რეალიზაციის შეუძლებლობა.

## *კულტურა*

ლენტეხის მუნიციპალიტეტი საკმაოდ მდიდარი კულტურით გამოირჩევა. მუნიციპალიტეტში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ფოლკლორს და აქ მოქმედებს რამდენიმე ფოლკოლრული ანსამბლი, ისევე როგორც მუსიკალური სკოლა. მუნიციპალიტეტის ანსამბლები მონაწილეობას იღებენ სხვადასხვა ფესტივალებსა და ღონისძიებებში როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე, საზღვარგარეთ. ასევე, მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს 7 სასოფლო კლუბი.

ლენტეხის მუნიციპალიტეტის კულტურის სახლი, რომელიც ადრე საკმაოდ აქტიური იყო თავისი წარმოდგენებით, ახლა რეაბილიტაციის პროცესშია, რომლის დასრულების შემდეგაც შესაძლებელი იქნება წარმოდგენების კვლავ გამართვა.

რაც შეეხება კინოთეატრს, ლენტეხის მუნიციპალიტეტში კინოთეატრი არ არის, არც სტაციონალური და არც მოძრავი, შესაბამისად, ადგილობრივი ახალგაზრდობა მოკლებულია შესაძლებლობას, ადგილზე ნახოს ფილმები.

## *განათლება*

ლენტეხის მუნიციპალიტეტში წარმოდგენილია მხოლოდ სკოლამდელი და ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებები, როლებიც მოიცავენ ყველა დასახლებულ პუნქტში მცხოვრებ აღსაზრდელებსა და მოსწავლეებს. თუმცა, ლენტეხის მუნიციპალიტეტში არ არის რაიმე ტიპის პროფესიული სასწავლებელი, რომელიც შესაძლებლობას მისცემდა მუნიციპალიტეტის მოსახლეობას, მათთვის საინტერესო და საჭირო პროფესიების დასაუფლებლად. ასევე, მუნიციპალიტეტში, ისევე როგორც მთელს რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის მხარეში არ არის წარმოდგენილი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება.

2014 წლის საყოველთაო აღწერის მონაცემებით, ლენტეხის მუნიციპალიტეტის 10 წელზე მაღალი ასაკის მოსახლეობის 22.6% აქვს მიღებული უმაღლესი განათლება, ხოლო შედარებით დიდი ნაწილს - პროფესიული განათლება. 2023 წელს ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის „მთიანი საქართველოს ახალი სიცოცხლე“ (ENPARD 4) ფარგლებში, ლენტეხის მუნიციპალიტეტში გამოკითხულთა ნახევარზე ცოტა ნაკლებს მიღებული ჰქონდა უმაღლესი განათლება ან/და პროცესში იყო, ხოლო უმრავლესობას (54.3%) მიღებული ჰქონდა მხოლოდ სრული საშუალო განათლება და ამ პირთა უმრავლესობას წარმოადგენდნენ 36 წელს გადაცილებული პირები.

სტრატეგიის მომზადების პროცესში ახალგაზრდებთან გამართული შეხვედრებისას ნახსენები იყო, რომ მუნიციპალიტეტში ხელმისაწვდომია სკოლის გარეთ საგანმანათლებლო აქტივობები - სიმღერის, ცეკვის, ხატვის წრეების სახით. თუმცა, აქვე გამოიკვეთა განათლებასთან დაკავშირებული რიგი წუხილები და საჭიროებები - სასკოლო მასალების მიღმა - როგორც მხატვრული, ასევე პროფესიული ლიტერატურის ხელმისაწვდომობის პრობლემა, მოსწავლეებისთვის თანამედროვე ტექნოლოგიური ცოდნა-უნარების შეძენის პრობლემა, მათ შორის აღჭურვილობის ნაკლებობის გამო, STEM მიმართულებების მხრივ განვითარების შესაძლებლობების არარსებობა, კარიერის დაგეგმვისთვის მხარდაჭერის არარსებობა.

### *ახალგაზრდობა*

ლენტეხის მუნიციპალიტეტში, ზოგადად, მოსახლეობა საკმაოდ მაღალ ასაკობრივ კატეგორიაშია; მოსახლეობის მხოლოდ 30.5% წარმოადგენენ 30 წლამდე ასაკის პირები[38]. სტრატეგიის მომზადების პროცესში ჩატარებული შეხვედრებისას გამოიკვეთა, რომ ახალგაზრდა მოსახლეობის, განსაკუთრებით სკოლის უფროსკლასელები, სწავლის პერიოდშივე გეგმავენ სასწავლებლად სხვა მუნიციპალიტეტში ან ემიგრაციაში წასვლას. ამასთანავე, აღსანიშნავია, რომ ამჟამინდელი პერსპექტივიდან, ლენტეხის მუნიციპალიტეტიდან წასვლის შემდეგ ისინი უკან დაბრუნებას  და ლენტეხში დასახლებას არ აღიქვამენ როგორც შესაძლო სამომავლო გეგმას.

[38] 2014 წლის საყოველთაო აღწერის მონაცემები

სტრატეგიის მომზადების პროცესში გამოიკვეთა რიგი გამოწვევები, რომლებსაც ახალგაზრდები ადგილზე აწყდებიან, რაც ძირითადად მოიაზრებს ადგილზე განვითარების შესაძლებლობების ნაკლებობასა და მოწყენილობას ახალგაზრდების სიმცირის გამო.

## სპორტი, კულტურა განათლება და ახალგაზრდობა - SWOT ანალიზი

### ძლიერი მხარეები

*სპორტი*

- ✓ სპორტის რიგ სახეობებში ტრადიცია და მიღწევები
- ✓ სპორტული ინფრასტრუქტურის არსებობა
- ✓ სპორტული სკოლების არსებობა
- ✓ სპორტის მიმართ ინტერესი ახალგაზრდებში
- ✓ ადგილობრივი მისაბაძი მაგალითები სპორტის რიგ სახეობებში
- ✓ ალპინიზმის სკოლის მნიშვნელოვანი ტრადიცია მუნიციპალიტეტში

*კულტურა*

- ✓ ფოლკლორის მდიდარი ტრადიცია
- ✓ არსებული ფოლკლორული ანსამბლები ადგილობრივ და საერთაშორისო ღონისძიებებში გამოცდილებით
- ✓ თეატრის ტრადიცია
- ✓ სოფლის კლუბების არსებობა
- ✓ მდიდარი კულტურული მემკვიდრეობა

*განათლება*

- ✓ ზოგადსაგანმანათლებლო და სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებების არსებობა, რომლებიც ფარავენ ყველა დასახლებულ პუნქტს

### სუსტი მხარეები

*სპორტი*

- ✓ ახალგაზრდების ნაკლებობა
- ✓ ახალგაზრდებისთვის მრავალფეროვანი სპორტული ინფრასტრუქტურის ნაკლებობა
- ✓ სპორტული სტადიონების უსაფრთხოების პრობლემები რიგ ლოკაციებზე
- ✓ სპორტული შესაძლებლობების შეზღუდული წრე
- ✓ მასწავლებლების/ტრენერების მაღალი ასაკობრივი ჯგუფი
- ✓ სპორტული ინვენტარის ნაკლებობა
- ✓ დაბალი ანაზღაურება ადგილზე

*კულტურა*

- ✓ ახალგაზრდებზე ორიენტირებული კულტურული ღონისძიებებისა და სივრცეების ნაკლებობა
- ✓ თეატრალური წარმოდგენების ნაკლებობა
- ✓ ადგილზე კადრებისა და მათი გადამზადების მექანიზმის ნაკლებობა

*განათლება*

- ✓ სკოლის მიღმა სხვა საგანმანათლებლო აქტივობების სიმცირე
- ✓ ინფორმაცია სხვადასხვა საგანმანათლებლო შესაძებლობების/კონკურსების შესახებ არ

- ✓ სკოლის მოსწავლეებში წიგნიერების მაღალი დონე

*ახალგაზრდობა*

- ✓ სკოლის დამამთავრებელი კლასის მოსწავლეებში ინტერესი სოციალურ აქტივობებში ჩართულობის კუთხით
- ✓ ახალგაზრდების მიერ პროექტების განხორციელებაში მონაწილეობის/პროექტების მომზადების გამოცდილება - სკოლის ასაკის მოსწავლეებში
- ✓ სკოლის ასაკის ბავშვებში მაღალი მოტივაცია მონაწილეობა მიიღონ ინიციატივებში ადგილზე

მიდის ადგილობრივ ახალგაზრდობამდე, ან მიდის დაგვიანებით

- ✓ სასკოლო ლიტერატურის მიღმა მხატვრული ლიტერატურის ხელმისაწვდომობის ნაკლებობა
- ✓ სკოლის შემდეგ წრეები მთავრდება გვიან და ბავშვები, ფაქტიურად, დღის განმავლობაში რჩებიან მშივრები
- ✓ შშმ პირებისთვის სასწავლო პროგრამებთან და შესაძლებლობებთან წვდომის პრობლემა
- ✓ მეწარმეობის და STEM მიმართულებების განათლების დონე ძალიან დაბალია
- ✓ განათლების მიმართ დამკვიდრებული სტერეოტიპები *„ჩემმა შვილმა უნდა ჩააბაროს უმაღლეს საგანმანათლებლო სასწავლებელში“*
- ✓ მუნიციპალიტეტში პროფესიული განათლების მიღება მოცემულ მომენტში შეუძლებელია

*ახალგაზრდობი*

- ✓ მუნიციპალიტეტში დარჩენილ ახალგაზრდებში ადგილზე განვითარებისადმი ინტერესის ნაკლებობა
- ✓ მუნიციპალიტეტის ახალგაზრდობის პოტენციალის აუთვისებლობა
- ✓ ახალგაზრდებში ლენტეხში ცხოვრებისადმი ინტერესის ნაკლებობა
- ✓ ახალგაზრდების ნაკლები ჩართულობა ისეთი გადაწყვეტილების მიღების პროცესში, რომელიც მათ ეხებათ
- ✓ ახალგაზრდებისთვის სოციალიზაციის სივრცეების ნაკლებობა

- ✓ ბავშვებისთვის გარემო მოსაწყენია, ვინაიდან ცოტა ბავშვია ადგილზე და მხოლოდ ზაფხულის სეზონზეა მათთვის შედარებით აქტიური პერიოდი
- ✓ ახალგაზრდებზე მორგებული გარე სივრცეებისა და კვების ობიექტების ნაკლებობა
- ✓ ახალგაზრდებში მეწარმეობის უნარ-ჩვევებისა და სამეწარმეო სულისკვეთების ნაკლებობა
- ✓ ახალგაზრდებში დასაქმების დაბალი მაჩვენებელი

### შესაძლებლობები

- ✓ ადგილზე განვითარების პოტენციალი
- ✓ ტექნოლოგიები, რომლებიც შესაძლებელს ხდის დისტანციურად სხვადასხვა ტიპის ღონისძიებებში მონაწილეობას
- ✓ დონორების მიერ განხორციელებული პროგრამები/პროექტები, რომლებიც ახალგაზრდების განვითარებისკენაა მიმართული
- ✓ საქართველოში საერთაშორისო კულტურულ-სპორტული ღონისძიებების პოპულარიზაცია
- ✓ ევროკავშირთან დაახლოება, რაც მეტ შესაძლებლობას აჩენს სპორტის, კულტურის, განათლებისა და ახალგაზრდობის მიმართულებით

### გამოწვევები

- ✓ მაღალი ასაკობრივი ჯგუფის სიჭარბე მუნიციპალიტეტში და ახალგაზრდების ნაკლებობა
- ✓ ახალგაზრდების გადინება მუნიციპალიტეტიდან
- ✓ ლენტეხის მუნიციპალიტეტში ქვეყნის საშუალოზე მნიშვნელოვნად დაბალი ანაზღაურება (ქვეყნის საშუალო მაჩვენებლის ნახევარზე ნაკლები), რაც ადგილზე დასაქმებას არამიმზიდველს ხდის
- ✓ კლიმატური ცვლილებებისგან გამოწვეული ბუნებრივი კატასტროფები

## სპორტის, კულტურის, განათლებისა და ახალგაზრდობის მხარდაჭერისთვის განსაზღვრული მიზანი და ამოცანები

### *შეჯამება*

შეჯამების სახით უნდა ითქვას, რომ მუნიციპალიტეტს აქვს საკმაოდ მდიდარი კულტურული და სპორტული ტრადიციების გამოცდილება, რომელიც, განსაკუთრებით სპორტის მიმართულებით, ახლაც გრძელდება. მუნიციპალიტეტში ასევე, მუდმივად ვითარდება კულტურული ცხოვრება, თუმცა მოცემულ ეტაპზე თეატრი არ ფუნქციონირებს და გარდა ტრადიციული ფოლკლორისა, საკმაოდ შეზღუდული მასშტაბით არის კულტურული ღონისძიებები ხელმისაწვდომი. ერთ-ერთ მნიშვნელოვან გამოწვევას მუნიციპალიტეტისთვის წარმოადგენს ახალგაზრდების გადინება და ადგილზე ახალგაზრდების სიმცირე, რაც საფრთხეს უქმნის მუნიციპალიტეტის განვითარებას. შესაბამისად, ამ მიმართულებით სტრატეგიული მიზანი ასე ჩამოყალიბდა:

**მუნიციპალიტეტში მრავალფეროვანი სპორტული, კულტურული, საგანმანათლებლო და ახალგაზრდული შესაძლებლობების შექმნა.**

# ნაწილი 5: სტრატეგიული ინტეგრაცია

ლენტეხის ადგილობრივი განვითარების სტრატეგიის შემუშავების პროცესში გაანალიზებული და გათვალისწინებული იყო შემდეგი დოკუმენტები:

- ✓ ლენტეხის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტის დოკუმენტი 2023-2026 წლებისთვის
- ✓ საქართველოს ტურიზმის სტრატეგია 2025
- ✓ საქართველოს ეკოტურიზმის სტრატეგია 2020-2030
- ✓ სვანეთის ტურიზმის განვითარების სტრატეგია და სამოქმედო გეგმა
- ✓ ლენტეხის მუნიციპალური ნარჩენების მართვის 2018-2020 წლების სამოქმედო გეგმა
- ✓ საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების სტრატეგია 2021-2027 წლებისთვის
- ✓ კულტურის სტრატეგია 2025
- ✓ ხედვა 2030 - საქართველოს განვითარების სტრატეგია
- ✓ საქართელოს მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სტრატეგია 2021-2025

ზემოხსენებული დოკუმენტების ანალიზის მიზანი იყო მათი ინტეგრაცია ადგილობრივი განვითარების სტრატეგიაში, სინერგიის ეფექტის გაძლიერება და იმის უზრუნველყოფა, რომ ადგილობრივი განვითარების სტრატეგია წინააღმდეგობაში არ მოდის შესაბამის სტრატეგიებთან. ამასთანავე, ვინაიდან ადგილობრივი განვითარების სტრატეგია შემუშავებულია ქვევიდან ზევით მიდგომით, სტრატეგიით განსაზღვრული ხედვა, ამოცანები და აქტივობები ეფუძნება ადგილობრივი მოსახლეობისა და აქტორების ჩართულობით გამოვლენილ საჭიროებებსა და შესაძლებლობების გამოყენების გზებს, ადგლობრივი განვითარების მხარდასაჭერად.

სტრატეგიის მომზადების პროცესში, ასევე, გათვალისწინებული იყო 2023-2024 წლებში პროექტის „მთიანი საქართველოს ახალი სიცოცხლე“ ფარგლებში ჩატარებული კვლევა „რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის მოსახლეობის ინფორმირებულობისა და განწყობების კვლევა სახელმწიფო პროგრამებისა და სერვისების მიმართ“ და ანალიზის დოკუმენტი „რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის მხარეში სათავგადასავლო და ეკო-ტურიზმის განვითარების მიზანშეწონილობის ანალიზი“. კვლევის შედეგად გამოიკვეთა რიგი მნიშვნელოვანი საკითხები, რომელთა გამოყენებაც მოხდა სიტუაციური ანალიზისა და სამომავლო აქტივობების დაგეგმვისთვის, ხოლო ანალიზის დოკუმენტმა შესაძლებელი გახადა მეტი

ფოკუსირება მუნიციპალიტეტისთვის სტრატეგიულად მნიშვნელოვანი მიმართულების განვითარების გეგმის განსაზღვრის კუთხით.

# ნაწილი 6: მონიტორინგი, შეფასება და ანგარიშგება

მონიტორინგისა და შეფასების მიზანია სტრატეგიის მიზნების მიღწევასთან მიახლოების კონტროლი, ამოცანების შესრულების უზრუნველყოფა და სიტუაციის შესაბამისად საჭირო ცვლილებების დროულად ასახვა ლენტეხის ადგილობრივი განვითარების სტრატეგიაში.

მონიტორინგი და შეფასება ოთხ-დონიანია და შემდეგი სტრუქტურითაა წარმოდგენილი:

*დიაგრამა #3: მონიტორინგისა და შეფასების სტრუქტურა*



I. პირველი და ყველაზე მაღალი დონის შეფასება ეხება სტრატეგიით განსაზღვრულ **ხედვას** და რამდენად უახლოვდება ლენტეხის მუნიციპალიტეტი ამ ხედვის რეალიზებას;

II. მეორე დონის შეფასება მოიცავს **სტრატეგიულ მიმართულებებს**, რაც ფარავს თითოეული მიმართულებისთვის განსაზღვრულ მიზანთან მიახლოებას;

III. მესამე დონე ეხება სტრატეგიული მიმართულებების ქვეშ არსებული **ამოცანების** შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, რომლებიც პირდაპირ არის დაკავშირებული აქტივობების შესრულებასთან;

IV. მეოთხე დონე ეხება **აქტივობების** განხორციელებისა და შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას.

## I დონის შეფასება - სტრატეგიით განსაზღვრული ხედვა

სტრატეგიით განსაზღვრულ ხედვასთან მიახლოება ექვემდებარება ყოველწლიურ შეფასებას. შეფასება მხედველობაში იღებს სტრატეგიით გათვალისწინებულ სტრატეგიულ მიმართულებებს, მიმართულებების ქვეშ არსებულ ამოცანებს და მათ ქვეშ განხორციელებულ აქტივობებს და აფასებს, რამდენად მიაახლოვა სტრატეგიით გათვალისწინებულმა ღონისძიებებმა ლენტეხის მუნიციპალიტეტი ამავე სტრატეგიით განსაზღვრულ ხედვას.

შეფასება, ასევე, მიზნად ისახავს სტრატეგიაში შესაძლო ცვლილებების იდენტიფიცირებასა და საჭიროების შემთხვევაში, ამ ცვლილებების ასახვას სტრატეგიის დოკუმენტში.

*ცხრილი #16: I დონის შეფასების ძირითადი მაჩვენებლები, წყარო და სამიზნეები*

| მაჩვენებელი | წყარო | სამიზნე |
|---|---|---|
| მუნიციპალიტეტის მოსახლეობის მაჩვენებელი, კონკრეტულად, მიგრაციის ხარჯზე მოსახლეობის კლების ტენდენციის შემცირება | საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური<br>✓ მუნიციპალიტეტში მოსახლეობის რიცხვოვნობა წლის 1 იანვრის მდგომარეობით | 2025 წლის 1 იავარის მონაცემები - ყოველწლიურად მუნიციპალიტეტის მოსახლეობის მიგრაციის შედეგად დაკარგვის მაჩვენებლის შენარჩუნება 2024 წლის 1 იანვრის მაჩვენებელზე |

| | | |
|---|---|---|
| (სხვაობა მოსახლეობის კლების საერთო მაჩვენებელსა და ბუნებრივი კლების მაჩვენებელს შორის) | ✓ მუნიციპალიტეტში მოსახლეობის ბუნებრივი მატების/კლების მაჩვენებელი წლის 1 იანვრის მდგომარეობით | 2026 წლის 1 იანვრის მონაცემები - ყოველწლიურად მუნიციპალიტეტის მოსახლეობის მიგრაციის შედეგად დაკარგვის მაჩვენებლის შენარჩუნება 2025 წლის 1 იანვრის მაჩვენებელთან მიმართებით<br><br>2027 წლის 1 იანვრის მონაცემები - ყოველწლიურად მუნიციპალიტეტის მოსახლეობის მიგრაციის შედეგად დაკარგვის მაჩვენებლის კლება მინიმუმ 2%-ით 2026 წლის 1 იანვრის მაჩვენებელთან შედარებით<br><br>2028 წლის 1 იანვრის მონაცემები - ყოველწლიურად მუნიციპალიტეტის მოსახლეობის მიგრაციის შედეგად დაკარგვის მაჩვენებლის კლება მინიმუმ 2%-ით 2027 წლის 1 იანვრის მაჩვენებელთან შედარებით<br><br>2029 წლის 1 იანვრის მონაცემები - ყოველწლიურად მუნიციპალიტეტის მოსახლეობის მიგრაციის შედეგად დაკარგვის მაჩვენებლის კლება მინიმუმ |

| | | |
|---|---|---|
| | | 2%-ით 2028 წლის 1 იანვრის მაჩვენებელთან შედარებით |
| მოსახლეობის განწყობები, აღქმები და დამოკიდებულებები ლენტეხის მუნიციპალიტეტში ცხოვრების ხარისხთან დაკავშირებით | ლენტეხის ადგილობრივი სამოქმედო ჯგუფის მიერ ჩატარებული ყოველწიური გამოკითხვა | 2024 წლის დეკემბერი (საბაზისო მაჩვენებელი)<br><br>2025 წლის დეკემბერი - ცხოვრების ხარისხთან დაკავშირებით საერთო მაჩვენებლის გაუმჯობესება 2 საბაზისო წერტილით (2024 წელთან მიმართებით)<br><br>2026 წლის დეკემბერი - ცხოვრების ხარისხთან დაკავშირებით საერთო მაჩვენებლის გაუმჯობესება 5 საბაზისო წერტილით (2025 წელთან მიმართებით)<br><br>2027 წლის დეკემბერი - ცხოვრების ხარისხთან დაკავშირებით საერთო მაჩვენებლის გაუმჯობესება 5 საბაზისო წერტილით (2026 წელთან მიმართებით)<br><br>2028 წლის დეკემბერი - ცხოვრების ხარისხთან დაკავშირებით საერთო მაჩვენებლის გაუმჯობესება 5 საბაზისო წერტილით (2027 წელთან მიმართებით) |

| | | |
|---|---|---|
| მუნიციპალიტეტში ახლადდაარსებულ ბიზნეს სუბიექტთა რიცხვი | საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური - რეგიონის სტატისტიკა | 2024 წელი - მინიმუმ 1% ზრდა წინა წლის მაჩვენებელთან მიმართებით<br><br>2025 წელი - მინიმუმ 2% ზრდა წინა წლის მაჩვენებელთან მიმართებით<br><br>2026 წელი - მინიმუმ 2% ზრდა წინა წლის მაჩვენებელთან მიმართებით<br><br>2027 წელი - მინიმუმ 2% ზრდა წინა წლის მაჩვენებელთან მიმართებით<br><br>2028 წელი - მინიმუმ 2% ზრდა წინა წლის მაჩვენებელთან მიმართებით |
| ბიზნეს სექტორში დასაქმებულთა საშუალო ანაზღაურების ზრდა | საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური - რეგიონის სტატისტიკა | 2024 წელი - მინიმუმ 5% ზრდა წინა წლის მაჩვენებელთან მიმართებით<br><br>2025 წელი - მინიმუმ 10% ზრდა წინა წლის მაჩვენებელთან მიმართებით<br><br>2026 წელი - მინიმუმ 15% ზრდა წინა წლის მაჩვენებელთან მიმართებით<br><br>2027 წელი - მინიმუმ 15% ზრდა წინა წლის მაჩვენებელთან მიმართებით |

2028 წელი - მინიმუმ 20% ზრდა წინა წლის მაჩვენებელთან მიმართებით

## II დონის შეფასება - სტრატეგიული მიმართულებები

მეორე დონის შეფასება მოიცავს **სტრატეგიულ მიმართულებებს** და მათთვის განსაზღვრულ მიზნებს. შეფასების მიზანია იმის განსაზღვრა, რამდენად უახლოვდება ლენტეხის მუნიციპალიტეტი თითოეული სტრატეგიული მიმართულებისთვის განსაზღვრული მიზნის მიღწევას. შეფასება ასევე მიზნად ისახავს სტრატეგიაში შესაძლო ცვლილებების იდენტიფიცირებასა და საჭიროების შემთხვევაში ამ ცვლილებების ასახვას სტრატეგიის დოკუმენტში.

*ცხრილი #17: II დონის შეფასების ძირითადი მაჩვენებლები, წყარო და სამიზნეები*

| მიმართულება - მიზანი | მაჩვენებელი | წყარო | სამიზნე |
|---|---|---|---|
| **ტურიზმი** - ტურიზმის სექტორის წილის გაზრდა ლენტეხის მუნიციპალიტეტის ეკონომიკაში | სასტუმროებსა და სასტუმროს ტიპის დაწესებულებებში სტუმართა ჯამური რაოდენობა | საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური - რეგიონების სტატისტიკა | 2024 წ. – 5% ზრდა (2023 წლის მონაცემებთან მიმართებით)<br><br>2025 წ. – 10% ზრდა (2024 წლის მონაცემებთან მიმართებით)<br><br>2026 წ. – 10% ზრდა (2025 წლის მონაცემებთან მიმართებით) |

| | | |
|---|---|---|
| | | 2027 წ. – 20% ზრდა (2026 წლის მონაცემებთან მიმართებით)<br><br>2028 წ. – 25% ზრდა (2027 წლის მონაცემებთან მიმართებით |
| სასტუმროებსა და სასტუმროს ტიპის დაწესებულებებში დასვენება-რეკრეაციის მიზნით ჩამოსულ სტუმართა რაოდენობა | საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური - რეგიონების სტატისტიკა | 2024 წ. – 5% ზრდა (2023 წლის მონაცემებთან მიმართებით)<br><br>2025 წ. – 10% ზრდა (2024 წლის მონაცემებთან მიმართებით)<br><br>2026 წ. – 10% ზრდა (2025 წლის მონაცემებთან მიმართებით)<br><br>2027 წ. – 20% ზრდა (2026 წლის მონაცემებთან მიმართებით)<br><br>2028 წ. – 25% ზრდა (2027 წლის მონაცემებთან მიმართებით |

| | | | |
|---|---|---|---|
| | სასტუმროსა და სასტუმროს ტიპის დაწესებულებებში დასაქმებულთა რაოდენობა | საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური - რეგიონების სტატისტიკა | 2024 წ. – 5% ზრდა (2023 წლის მონაცემებთან მიმართებით)<br><br>2025 წ. – 5% ზრდა (2024 წლის მონაცემებთან მიმართებით)<br><br>2026 წ. – 5% ზრდა (2025 წლის მონაცემებთან მიმართებით)<br><br>2027 წ. – 10% ზრდა (2026 წლის მონაცემებთან მიმართებით)<br><br>2028 წ. – 10% ზრდა (2027 წლის მონაცემებთან მიმართებით |
| **სოფლის მეურნეობა** - სოფლის მეურნეობის ეკონომიკური სარგებლიანობის გაზრდა ეკო-მიმართულებაზე ორიენტაციით | სოფლის მეურნეობაში თვითდასაქმებული შინამეურნეობების საშუალო ყოველთვიური შემოსავლის ზრდა | ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის „მთიანი საქართველოს ახალი სიცოცხლე“ ფარგლებში, ჩატარებული ლენტეხის მუნიციპალიტეტის | 2028 წ. 100% ზრდა (2024 წლის მონაცემებთან მიმართებით - საშუალო შეწონილი მაჩვენებელი 575 ლარი) |

| | | | |
|---|---|---|---|
| | | მოსახლეობის გამოკითხვა | |
| **მცირე და საშუალო მეწარმეობა** - ლენტეხის მუნიციპალიტეტში ბიზნეს სექტორში მრავალფეროვანი შესაძებლობების შექმნა და შეზღუდულ მიმართულებებზე დამოკიდებულების შემცირება | ლენტეხის მუნიციპალიტეტში ახლადდაფუძნებული ბიზნესების რაოდენობა | საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური - რეგიონის სტატისტიკა | 2024 წელი - მინიმუმ 1% ზრდა წინა წლის მაჩვენებელთან მიმართებით<br><br>2025 წელი - მინიმუმ 2% ზრდა წინა წლის მაჩვენებელთან მიმართებით<br><br>2026 წელი - მინიმუმ 2% ზრდა წინა წლის მაჩვენებელთან მიმართებით<br><br>2027 წელი - მინიმუმ 2% ზრდა წინა წლის მაჩვენებელთან მიმართებით<br><br>2028 წელი - მინიმუმ 2% ზრდა წინა წლის მაჩვენებელთან მიმართებით |
| | მუნიციპალიტეტში ბიზნეს სექტორში საშუალო ანაზღაურების მაჩვენებელი | საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური - რეგიონის სტატისტიკა | 2024 წელი - მინიმუმ 5% ზრდა წინა წლის მაჩვენებელთან მიმართებით<br><br>2025 წელი - მინიმუმ 10% ზრდა წინა წლის |

| | | | |
|---|---|---|---|
| | | | მაჩვენებელთან მიმართებით<br><br>2026 წელი - მინიმუმ 15% ზრდა წინა წლის მაჩვენებელთან მიმართებით<br><br>2027 წელი - მინიმუმ 15% ზრდა წინა წლის მაჩვენებელთან მიმართებით<br><br>2028 წელი - მინიმუმ 20% ზრდა წინა წლის მაჩვენებელთან მიმართებით |
| **სპორტი, კულტურა, განათლება და ახალგაზრდობა** - მუნიციპალიტეტში მრავალფეროვანი სპორტული, კულტურული, საგანმანათლებლო და ახალგაზრდული შესაძლებლობების შექმნა | მოსახლეობის განწყობები, აღქმები და დამოკიდებულებები ლენტეხის მუნიციპალიტეტში სპორტულ, კულტურულ, საგანმანათლებლო და ახალგაზრდულ შესაძლებლობებთან დაკავშირებით | ლენტეხის ადგილობრივი სამოქმედო ჯგუფის მიერ ჩატარებული ყოველწლიური გამოკითხვა | 2024 წლის დეკემბერი (საბაზისო მაჩვენებელი)<br><br>2025 წლის დეკემბერი - საერთო მაჩვენებლის გაუმჯობესება 2 საბაზისო წერტილით (2024 წელთან მიმართებით)<br><br>2026 წლის დეკემბერი - საერთო მაჩვენებლის გაუმჯობესება 2 საბაზისო წერტილით (2024 წელთან მიმართებით) |

2027 წლის დეკემბერი - საერთო მაჩვენებლის გაუმჯობესება 2 საბაზისო წერტილით (2024 წელთან მიმართებით)

2028 წლის დეკემბერი - საერთო მაჩვენებლის გაუმჯობესება 2 საბაზისო წერტილით (2024 წელთან მიმართებით)

## III დონის შეფასება - სტრატეგიული მიმართულებები

მესამე დონის მონიტორინგი და შეფასება შეეხება სტრატეგიული მიმართულებების ქვეშ არსებულ ამოცანებს. მონიტორინგისა და შეფასების მაჩვენებლები მოცემულია შესაბამისი მიმართულების სამოქმედო გეგმის ცხრილში (იხ. სტრატეგიის სამოქმედო გეგმა).

## IV დონის შეფასება - სტრატეგიული მიმართულებები

მეოთხე დონის მონიტორინგი და შეფასება შეეხება სტრატეგიული მიმართულებების ქვეშ არსებულ აქტივობებს. მონიტორინგისა და შეფასების მაჩვენებლები მოცემულია შესაბამისი მიმართულების სამოქმედო გეგმის ცხრილში (იხ. სტრატეგიის სამოქმედო გეგმა).

## მონიტორინგზე, შეფასებასა და ანგარიშგებაზე პასუხისმგებელი ერთეულები

*ცხრილი #18 მონიტორინგზე, შეფასებასა და ანგარიშგებაზე პასუხისმგებელი ერთეულები და პერიოდულობა*

| მონიტორინგისა და შეფასების დონე | მონიტორინგზე, შეფასებასა და ანგარიშგებაზე პასუხისმგებელი ერთეული | ანგარიშების მიმღები/განმხილველი ერთეულ(ებ)ი | პერიოდულობა |
|---|---|---|---|
| I დონე | მმართველი საბჭო | საერთო კრება და ადგილობრივი დაინტერესებული მხარეები | წელიწადში ერთხელ |
| II დონე | მიმართულებაზე პასუხისმგებელი სამუშაო ჯგუფი | მმართველი საბჭო | წელიწადში ერთხელ |
| III დონე | მიმართულებაზე პასუხისმგებელი სამუშაო ჯგუფი | მმართველი საბჭო | 6 თვეში ერთხელ |
| IV დონე | მიმართულებაზე პასუხისმგებელი სამუშაო ჯგუფი | მმართველი საბჭო | 3 თვეში ერთხელ |